

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 41.

O. 200

# ქასტურ-ლაპა

თხზულება.

ნიკოლოზ დადიანისა

1. ქასტურ  
676-07070

ტეილი 1897 წ.

სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა,



2. 25

# დასტურ-ლაპა

34 339

თხზულება

ნიკოლოზ დადიანისა



ტფილისი 1897 წ.

სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა:

## ნიკოლოზ გიორგის ძე დადიანი

ნიკოლოზ გიორგის ძე დადიანი იყო სარდალ-მსაჯულთ-უხუცესი სამეგრელოს მთავრის ლევან გრიგოლის ძის დადიანისა († 1846). ჩამომავლობით, შვილის-შვილი სამეგრელოს მთავრის ატია ბეჟანის ძის დადიანისა († 1710).

თავის დროს ეს იყო პირველი კაცი ოდიშ-ლეჩხუმისა, რომელსაც წალხი უწოდდა „დიდ-ნიკოლ“, განსასხვავებლად მეორე ნიკო დადიანისგან, შეფელისგან, რომელიც იყო აბხაზეთის მთავრის მიხაილ შარვაშიძის სიმამრი და შემდეგ დიდი-ნიკოს გარდაცვალებისა მსაჯულთ-უხუცესივე სამეგრელოს სამთავროსი.

როგორც შვილის-შვილი მთავრისა, ნიკო დადიანი, ჯერ ისევ ჭაბუკი, დანიშნულ იქმნა წევრად სამთავრო საქმეთა უმაღლესის გამგეობისა სამეგრელოში. ეს იყო 1805 წელს, შემდეგ სამეგრელოს შეერთებისა რუსეთთან და გარდაცვალებისა მთავრის გრიგოლ დადიანისა. ამ წელს, ხელმწიფე იმპერიტორის ალექსანდრე პავლეს ძის ბრძანებით, სამეგრელოს ტახტის მემკვიდრის ლევან დადიანის მცირე-წლოვანებისა გამო, სამეგრელოს მმართველად და მზრუნველად მემკვიდრია დანიშნულ იქმნა ქვრივი განსვენებულის მთავრისა დედოფალი ნინო, საქართველოს მეფის გოროგი მე-XIII-ს ასული, და ამას მიეცა შემწედ რჩევა, შემდგარი ოთხის წევრისა-გან. ნიკო დადიანი იყო ერთი ამ ოთხთაგანი. დანარჩენს სამს შეადგენდნენ: ძმა განსვენებულის მთავრისა ჭყონდიდელი ბესარიონ, სახლთ-უხუცესი თ. გიორგი ჩიქვანი და ლეჩხუმის სარდალ-მოურავი თავ. ბერი გელოვანი \*).

რჩევას ჯერ გემო არ გაედო ქვეყნის მართვისა, რომ ნიკო დადიანს შეხვდა წასვლა პეტერბურგს. სამეგრელოს საქმეთა გამო. დედოფალმა ნინომ გაგზავნა ის ხელმწიფე-იმპერატორთან და მასთან ერთად ბეჟან დადიანი და დეკანოზი იოანე იოსელიანი. ამ სამთა დეპუტაციას უნდა დაეცვა წინაშე ტახტისა უფლება. სამეგრელოს მთავართა ლეჩხუმზე, რომელსაც ართმევდა დედოფალს იმერეთის მაფე სალომონ, და ეთხოვა დაებრუნებიათ სამეგრელოსთვის ანაკლია, რომელიც წაერთმია იმ დროს აბხაზეთის

\* ) ამ საგანზე იხილე „История воинов“ დუბროვინისა, ტ. IV, გვ. 408.

მთავარს ქელიშ-ბეგს. ამასთან დეპუტაციას უნდა ეთხოვა: ებრძანებინათ რუსის ჯარისთვის სამეგრელოს მმართველობის შემწეობა წინააღმდეგ უჩრატა და კაცის სულის სამზღვარ გარეთ გამყიდველთა; მოეტანინებიათ ყირიმიდან სამეგრელოში ფართალი და სხვა. სავაჭრო საგნები; გამოეგზავნათ სამთავროში მცოდნე კაცები აღმოსახენად მადნეულობისა და სხვა-და-სხვა.

დეპუტაცია პეტერბურგში დიდის პატივით იქნა მიღებული. ვისაც უნდა ჰკითხო დღეს სამეგრელოში ამ დეპუტაციის ამბავი, ყველას პირზე აკერია დეკანოზის იოანე იოსელიანის სიტყვები, მიმართული ხელმწიფიან-სადმი. როდესაც დეპუტაცია წარსდგა ხელმწიფესთან და იოსელიანმა მიართვა მისს დიდებულებას სასწაულთ მოქმედი ზატი ვლანქერის ღვთის-მშობლისა, ამან მოახსენა ხელმწიფეს დავით წინასწარმეტყველის სიტყვებით: წყალობასა და სამართალსა გაქებდენ შენ, უფალო.

ხელმწიფემ უწვად დააჯილდოვა დეპუტაციის წევრნი, უბოძა დადიანს (ნიკოს) გარდა ნივთიერის საჩუქრისა, ჩინი პოლკოვნიკისა და ბრძანა აღესრულებინათ ყოველი სურვილი სამეგრელოს დედოფლისა და მმართველობისა.

პეტერბურგიდან რომ დაბრუნდა, ნიკო დადიანი ჩადგა სამეგრელოს მმართველობაში, მაგრამ მალე იმასა და დედოფალს შორის ატყდა უკან ყოფილება. დადიანი და მასთან ერთად უმაღლესი საზოგადოება სამეგრელოსი უიმისოდაც არ იყო კმაყოფილი დედოფლისა, რომელსაც სწამებდნენ გრიგოლ დადიანის მოწამლვას (ამბობენ, ქათამი შეუწვევინა და შხამი შეატანაო) და როცა ამან დაიახლოვა ყმაწილ-კაცობა და იმათი რჩევით იწყო მოქმედება, უმაღლესი სამეგრელოს საზოგადოება განზე გაუდგა დედოფალს. თავის მხრით დედოფალიც ემდუროდა ნიკო დადიანს იმ ზომა-მდის, რომ 1808 წელში, როდესაც ნიკო დადიანის მონაწილეობით და ბრძანებით დაიჭირეს დედოფლის ფავორიტი გუგუშვილა და ციხეში ჩასვეს, დედოფალმა მთავრობასთან უჩივლა დადიანს. 16 ოქტ. 1808 წელს გენერალი რიკერი სწერდა გუდოვიჩს: ნინო დედოფალი აცხადის, რომ პოლკოვნიკი ნიკო დადიანი, ტარიელ დადიანი, პეტრე მხეიძე, ხახუ ჩი-ჩუა, ხიტუ და ბეგან და სხვანი ფალავები წინააღმდეგნი არიან ჩემიო, ჩე-მი ერთგული აზნაური გუგუშვილი დაიჭირეს და ციხეში ჩასვესო \*).

მაგრამ ნინო დედოფლის მთავრობაც მალე გათავდა. 1812 წ. ლევან დადიანს შეუსრულდა 20 წელი და თანახმად ხელმწიფის ბრძანებისა ის შეიქმნა სამეგრელოს მთავრად სრულის უფლებით. აქამდის მტერ-მოყვარე სამეგრელოს მმართველისა, ნიკო დადიანი ამას იქით შეიქმნა ერთ-გული მოსამსახურე მთავრისა, მისი მთავარ-ვეზირი.

ნიკო დადიანმა, რამდენიც შეიძლო, ჯერ მოძღვრა სიტყვიერად თვი-სი ახალ-გაზღა მბრძანებელი და ბოლოს თვისი მოძღვრება შესახებ ქვე-

\* ) Акты Кавк. Арх. Ком. Ч. II, გვ. 516.

ყნის და სამთავრო ოჯახის მართვისა გამოუსახა მის წესდებულებაში, რო-  
მელსაც დაარქვა სახელად დასტურ-ლამა. გარდა სამსახურის მოვალეობისა  
სხვა გარემოებაც აწვევდა ნიკო დადიანს შეეღინა ახალ-გაზდა მთავრის-  
თვის „სამთავრო წესდებულება და განკარგვა მფლობელობათა“. ლევან  
დადიანი იყო გაზრდილი ნიკო დადიანის დედის მარიამ აბაშიძის ასულის  
და მაშასადამე „დილი-ნიკო“ იყო მისი კვიდრი ბიძაშვილი, რომელსაც ამ-  
გვარად ორკეცი. მოვალეობა ჰქონდა და სურვილი, რომ მისს მთავარს და  
გაზრდილს კარგად წარემართა სამთავროს საქმენი.

როგორც ვახტანგ სჯულის მდებელს, არც ამ დასტურ-ლამის დამშერს  
ჰქონდა იმედი, რომ მისგან შედგენილ კანონდებას შეასრულებდა მისი გა-  
ზრდილი მთავარი. „ესე შვიდი წელი და სამი თვე არის — სწერდა დადია-  
ნი მთავარს — რომელ თუმცა მეცნიერი ესრეთ გაწუხებთ მრავლის ესე ვი-  
თარის მოხსენებით, ხელმწიფევ ჩემო, და უმდაბლესად მოგახსენებ ყოველ-  
თვის ოდეს უამს ვიხილავ, რომელ წესდებულება მიეც თავსა შენსა და სა-  
მფლობელოსა შენსა-თქო, რომელა ზედა მემოწმებიან ყოველნი მახლო-  
ბელ თქვენსა თან-გამზრახნი, გარნა ეს შვიდის წლისა და სამის თვისა მრა-  
ვალნი და ზედა-ზედა მოხსენებანი ჩემნი ყოვლითურთ უნაყოფოდ იხედე-  
ბიან. აწ უკანასკნელად ამას ამა ჩემსა მოხსენებასა მოგართმევ უმდაბლე-  
სად, რომელიცა ვრცელი გონება და კეთილნი დიდ-სულობანი შთამონა-  
სირთა თქვენთანი იმედს მცემს რათა ინებებთ და განაშვენებთ თავსა შენსა  
და სამფლობელოსა შენსა, და უკეთუ არა დასძლო უბედობამან ჩემმან კე-  
თილსა, მაშინ მე არა ძალმიძა ყოფნა მშობელსა მამულსა ჩემსა სამთავ-  
როსა შინა თქვენსა და ცრემლით განგიბან ხელთა და ფერთა აღზრდილსა  
მოხუცებულისა დედისა ჩემისასა და წარვალ შორესა, სადა არა მესმოდეს  
კვალად სამწუხარონი ჩემთვის ხმანი“. \*)

მაგრამ ვერც დაწერილმა კანონმა იმოქმედა მთავარზე და ვერც მუ-  
ქარამ. ლევან დადიანი დარჩა სიკვდილის დღემდე ისევ იმ კაცად, მთავ-  
რად-მონადირედ, რაც ის იყო მთავრობის დასაწყისში.

და ვერც ვეზირმა შეასრულა თვისი მუქარა. უფლება ტკბილია: ნი-  
კო დადიანი ძარჩა სიკვდილის დღემდის პირველ კაცად სამეგრელოში და  
იმას ფიქრადაც არ მოსვლია სამშობლო ქეყნიდან ექსორია ექმნა თავის  
თავისთვის.

როცა 1828-ს წელს ატყდა თათრის ომი და სამეგრელოს ჯარმა გა-  
მოიჩინა თავი ფოთს და მუხა-ესტატეს, ამ ჯარის უფროსს სარდალთ-უხუ-  
ცეს ნიკო დადიანს, ამ დროებში უკვე გენერალს, მოუვიდა დიდი მად-  
ლობა მთავრობისა.

ნიკო დადიანი სამსახურით მარტო არ იყო პირველი კაცი სა-  
მეგრელოში. ის იყო პირველი სწავლითაცა. უეჭველია თავის დროისთვის

\*) დასტურ-ლამა ნიკ. დადიანისა, დასკვნა.

ის არის ერთი საუკეთესოთა სწავლულთა და მწერალთაგანი მთელს საქართველოში. გარდა „დასტურ-ლამისა“ მისგან ნაწერთა შორის შესანიშნავი არის: ისტორია სამეგრელოსი, რომელიც იყო დაბეჭდილი უზრნალს „ივერიაში“ 1880 წლებში.

როგორი აზრის კაცი იყო ნიკო დადიანი, რაგვარ იცოდა იმან საეკლესიო წიგნები, ფილოსოფია, ისტორია, პოლიტიკა, რა კარგის და თან დამოუკიდებელის ენით სწერდა და ლაპარაკობდა ის იმ დროს, როცა ჩენში ჯერ ისევ ანტონ კათალიკოზის ენა მეფობდა, რა რიგ მწყურვალე იყო იგი სამეგრელოს განათლებისა და მოსურნე მისი სამოქალაქო აღორძინებისა—ამას ცოტა-ოდნად ამ „დასტურ-ლამიდამაც“ დაინახავს მკითხველი.

ამასთან დადიანი იყო კაცი ღვთის-მოშიში, რომელმაც ბევრი სარგებლობა მოუტანა ეკვლესიას. სხვათა შორის იმან განაახლა კორცხელის ეკვლესია, ზუგდიდს ახლო. ამ ეკვლესიაში ერთს სვეტზე ვკითხულობთ შემდეგს წარწერას: „ყოვლად შეუმკობელისა და დარღვეულისა ეკვლესისა ამის განმაახლებელი, აღმაშენებელი და შემამკობელი ნიკოლაი დადიანოვა გუბერნებ აღმითხველთა შეწყალება ჩემი ღვთისა მიმართ ითხოვოთ რათა თქვენკა შეგიწყალოს ქნ. ჩყიფ წელს, ივნისის იბ“. ეკვლესის კანკელზედაც არის მახსენებული, რომ ეს ეკვლესია არის განახლებული ნიკო გიორგის ძის დადიანოვისაგან, საღიდებლად მთავრის ლევან დადიანისა, საღლევრძელოდ მისის (ნიკოლოზის) მეუღლის მარიამ ერისთვის ასულისა და მოსახსენებლად მამისა მისისა გიორგის და დედისა მარიამ აბაშიძის ასულისა. \*)

დასტურ-ლამის დამწერის პირავნების დასახასიათებლად შემდეგი ამბავი უამბნიათ ჩემთვის.

ნიკო დადიანის დროს ერთმა შეძლებულმა გლეხ-კაცმა, გვარად გუგუჩიამ, სამრევო ეკვლესიას დიდი ზარა შემოსწირა. დადიანმა მოისურვა შემომწირველის ნაწვა და როცა შეხვდა ერთხელ მორთულ-მოკაზმულს, მაიხმო და უთხრა:

— ღმერთმა აგაშენოს, ჩემი ძმაო; კარგი კაცი ყოფილხარ, სამაგალითო საქმე გიქნია, ეკლესიისათვის ზარა შემოგიწირავს. მაგრამ ერთა გეტყვი...

— მიპრანე, შენი კირიმე.

— ემ ზარაზე შენი სახელი და გვარი დააწერინე.

— არა, ბატონო, მაგას ნუ მიბრძანებ. მე ის ზარა ისეთს ვისმე შევსწირე, რომ იმან ჩემზედ უკეთესი წერა იყის, თითონ მოგეხსენებაო, — უპასუხა გლეხ-კაცმა.

\*) ნახე ბროსეს ორბ. მოგზ. Rapports IX, გვ. 7 და 8.

„მაჯობა, შენ ნუ მომიკვდე, ამ ყაზახმაო“, სთქვა თურმე ამის გამგონე დადიანმა. \*)

ნიკო დადიანი გარდაიცვალა შუა ხნის კაცი. დავით დადიანის მოძღვარს დავით ჩიხლაძეს, რომელსაც ლურჯ ქალალდზე უწერია ქორონიკონი დიდთა შემთხვევათა წარსულისა და ამა მდგომარის საუკუნეთა \*\*), რიცხვთა შორის დაბადებულთა და მიცვალებულთა მთავართა და მეფეთა, მიტროპოლიტთა და მთავარ ეპისკოპოსთა, ორის საერო კაცისთვის უცია პატივი ხსენებისა. ეს კაცნი არიან იმერეთში გრიგოლ წერეთელი და სამეგრელოში ნიკო დადიანი. ამ უკანასკნელის შესახებ ისა სწერს:

„ლენერალი ნიკო დადიანოვი გარდაიცვალა 1834 წელს, თებერვლის 25-ს.“.

იმ დროს, როცა ნიკო დადიანი გარდაიცვალა, მთავარი ლევან დადიანი ტფილის იყო და როგორც მიიღო ამბავი იმის გარდაცვალებისა, მაშინვე ჩამობრძანდა სამეგრელოში და დაესწრო მის დასაფლავებას, მარტვილს.

გრიგოლ დადიანისგან გამიგონია:

დიდი-ნიკო რომ გარდაიცვალა, პატარა ნიკოს მიუწერია თავ. ვასილ ბებუთოვისოვის, რომელსაც დიდი მეგობრობა ჰქონდა დადიანის ოჯახთან: — სამეგრელო დაიღუპა, ნიკო დადიანი გარდაიცვალაო.

ნიკო დადიანს დიდ-ძალი ჩამომავლობა დარჩა. მალაქია ჩაჩიბაიამ, რომელმაც კარგად იცის მისი ოჯახის თავ-გადასავალი, ასზე მეტი სული ჩამომითვალა, მისგან შთამონასირი, დღეს ზე-ზე მდგომი. ნიკოს ჰყავდა ოთხი ვაჟი: გიორგი, ბესარიონ, პეტრე და პავლე და ორი ქალი: ბათუ და კესარია. სამნი პირველი იყვნენ შესანიშნავნი კაცნი, რომელთაც განაგრძეს განმავალობა მამის სახელისა სამეგრელოში მთელი ნახევარი საუკუნე. დავით დადიანი იმათ ეძახდა „ტრი მუშკათერა“-ს \*\*\*). გიორგის განმავალობა უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც იმან მიათხოვა ერთი თვისი ქალი აბხაზეთის მთავარს მიხაილ შარვაშიძეს და მეორე სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის შვილს კონსტანტინეს. პეტრე ახლდა დედოფალს ეკატერინეს, როცა ის წაბრძანდა რუსეთს განსვენებულის ალექსანდრე მეორის დაგვირგვინებაზე და იყო ყოველს საზოგადო კრებაზედ სამეგრელო-იმერეთში თავი მოლაპარაკე კაცი.

\*\*) დეკ. შიხილ მეუნარგიასგან გაგონილი.

\*\*\*) ეს ქორონიკონი ინახება უგანათ. თავ. გრიგოლ დადიანის წიგნთ-საცვში.

\*) ნახე „Закавказская вспомоществование“ ბოროზდინისა.

დიდი-ნიკოს ჩამამავლობიდან საზოგადო ასპარეზზე არიან შესანი-  
შნავნი, გარდა ხსენებულთა სამთა მუშკეტერთა: მამია გურიელი (პოეტი),  
გიორგი შარვაშიძე (დრამის მწერალი და მოლექსე), დავით დადიანი (მწი-  
გნობარი და მოლექსე), კოწია და ლევან დადიანი (ლექსთა მთხველნი),  
ნიკო დადიანი (ზუგდ. თავად-აზნ. ჭინამძლოლი) და გრიგოლ შარვაშიძე  
(გენერალი).

### o. მეუნარგია

---

## დასტურ-ლამა

მის უგანათლებულეობას,

უფალს ღენერალ-მაიორს და კავალერის, სოულიად  
სამედრელოისა და აგხაზეთისა მთავარს  
ლეგან გრიგორის ძე დადიანს.

თუმცალა კმა სამყოფელად შიში შემიპყრობს მე ესე ვი-  
თარად კადნიერად მოხსენებისათვის, გარნა მრავალნი მიზეზნი  
მაიძულებენ მე გარეგანგდებად შიშისა და თქმად უმჯობესისა,  
და უმეტეს არცალა სულნი ერთგულებისანი დამაყენებენ მე,  
რათა არა ვსოდა იგი რაი უმჯობეს არს. ხოლო ერთგულებისა  
სულსა ეხარისხებიან თანამდებობანიცა მშობელთა მამულთა ჩემ-  
თანი, რათა ვსწადნოოდე ბედნიერებასა და უმჯობესსა წესდებუ-  
ლებასა, რათა უმჯობესისა წესდებულებითა შემოვალს მშობელთა  
მამულთა ჩემთა, სამფლობელოსა თქვენსა, ბედნიერება, და მშო-  
ბელთა მამულთა ჩემთა, სამფლობელოთა თქვენთა, ბედნიერე-  
ბითა იქნებით თქვენ ბედნიერ და ბედნიერებითა თქვენითა  
მეცა უმეტეს ბედნიერ ვიქნები. მაშასადამე ჯერ არს ჩემდა თქმად  
უმჯობესისა და განგდებად შიშისა; ხოლო უმჯობესისა თქმა  
თუმცა შეუძლო არს ჩემგან, გარნა მას ვსასოებ, რომელი იტყვის:  
მე მოგცე პირი და სიბრძნეო, და მას უზადოსა ნათელსა შევ-  
სთხოვ და ვიტყვი. სულო ყოვლად წმინდაო, ლმერთ-მთავარო,  
შემეწიე თქმად უმჯობესისა.

თუმცალა გონიერება თქვენი და ხარაკტირნი სულისა თქვე-  
ნისანი არიან ვრცელ, მაღალ და შესაშვენ, გარნა ჩვეულება  
ძველნი აზიურთა ქცეულებათანი კეთილთა წესდებულებათა  
დამაბრკოლებელ ექმნებიან და განრყვნილად იხედებიან ყო-

ველნი წესნი გონიერებათანი, რომლისათვის თუმცალა გონიერი ესრეთ შეწუხებულ-არს სული ჩემი.

გვიბრძანებს საზოგადოდ ყოველთა სჯული ბუნებითი: „ჰქმენ იგი რაივეცა სრულ გყოფს შენ, და მდგმოობასა შენსა“ (ბაუმეისტ. ფილოსოფოსი, ითიკა № 36, დადება 3); ამა ბრძანებასა შინა ავრცელ-მღელვარე გნომი გონიერებისა შენისა, და იგი ჰქმენ, რაიცა სრულ გყოფს შენ და მდგმოობასა შენსა; სრულ-გყოფს შენ ბედნიერება სამფლობელოისა შენისა, მაშასადამე ჯერ არს შენდა მეცადინეობა ბედნიერებისათვის სამფლობელოისა შენისა, რათა სრულ-გყოს შენ და მდგმოობა შენი, და შენთანა ყოველნი შვილნი სახლისა შენისანი.

საზღვარნი სამფლობელოისა შენისანი შემოზღუდავს თვის შორის მრავალსა განმამდიდრებელსა ნივთსა, და ნივთნი იგი არიან უხმარ, ხოლო ხალხნი გლახაკობასა შინა; არიან სამფლობელოსა შინა შენსა: ზღვა, მომცემი და მოქმედება მას ზედა არა რა; ხენი მრავალნი და აღშენება არა რასა; მიწა ვრცელ მომცემნი და შრომის უყვარულობითა ხალხნი მშიერნი; ყრმანი კეთილშობილთანნი შვენიერნი, მარჯვე ჭაბუკნი, ბუნებითად გონიერნი, გარნა სასწავლებელი არა საღა, და უსწავლელობითა მიეცემიან უბედურებასა; სავაჭრონი მრავალნი სხვადა-სხვა ნივთნნი; გარნა გამვაჭრებელი არა საღა, და დაკლებითა ესე ვითარისა მოქმედებისათა არა არს ჯერეთ შემოსრული ბედნიერება სამფლობელოსა შენსა.

მრავალნი ძველნი ჩვეულებანი არიან შემოტანილნი სახლსა შინა თქვენსა, დამაბრკოლებელ კეთილისა ყოფა-ქცევისა, გარნა უმეტეს მიმოსვლა სოფლითი სოფლად და სიარული უგანათლებულესისა ჭამილიისა თქვენისა, რომლისათვის გმართებსთ გულ-ხმება ამისი, რათა კეთილათ განაწესოთ და წესდებულება მისცეთ ვითარცა სხვანი განათლებულნი მთავარნი. ამათვეის და ამა ვითართათვის განიღვიძე, იმეცადინე, ადიდე სახელი შენი და დასწერე წარუბლალველსა ძეგლსა ზედა და გულთა ყოველთა სამფლობელოისა შენისათა განათლება მათი და ბედნიერება; ხოლო მე, რაოდენ გლახაკ გონებათაგან შესაძლო არს, მოგარამევ შემდგომ ამისა წესდებულებასა ნამ-

ხარჯსა ჩემსა სამფლობელოისა თქვენისათვის, ხოლო შენ მეცნიერმან მცირე მიიღე დიდათ, რომელი ყოვლადვე უცნობელსა ჩვენსა სცნობ, და ნაკლულებასა ჩემსა აღავსებ.

პირველ ყოველთასა ხამს მართლისა სარწმუნებისა პყრობა მართლითა სულითა და გულითა და დაცვა სჯულთა საღმრთოთა, ბრძანებისა მებრ პირველისა სჯულისა; წმინდათა ლოცვათა აღვლენა ყოვლად ძლიერისა ღვთისადმი, განწესებისამებრ წმინდათა მამათა; მოწყალება, მრთელ მცნობობა, სიწმინდე მსგავსი ანგელოზებრივი და სათნო ღვთისა, სიმართლე, სიწრფოება, შეწყალება, სიყვარული ძმათა, სამართალი შეყვარებული ღვთისა და საძიებო მისი, დაცვა გონებისა, და აღვირსხმა ყოველთა ვნებათა ხორცათა, რომელიცა არა სათნო არიან ღვთისა და შემაიწროებელ სიმრთელისა; გარნა სწავებანი ესე საღმრთოთა სჯულთანი არა ჩემნი არიან, არამედ მამისა სულიერისანი, რომლისა სახიერება იმედს მცემს, რომ იგი არა დაუტევებს ვალისა მებრ მისისა ვრცლად მოუხსენებელად, და მე არა უმეტეს ამისა მაწვევდა თანამდებობა, და ამისთვის აქა დაიყენების ჩემგან წერისა ორღანონი.

მეორედ ამისა და შემდგომ ამისა პირველ ყოველთასა ერთ-სულობით ერთგულება მისის იმპერატორებითის დიდებულების ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა ჩვენისა ალექსანდრე პავლეს ძისა, რომლისაცა ღირს არს რათა ანგელოზებრსა ტერთსა მისისა დაუგოთ გულნი ჩვენ ქვეშევრდომთა მისთა. და თანაგაცსთ ეგრეთვე მორჩილება მთავრობის ბრძანებისა ვითარდეს ხარ ანუ მიხილავხარ ერთგულებისა მისისათვის მსხვერპლად შეწირვა თავისა შენისა წვეთისა სისხლისა შენისა; ამისთვის აწმყოსა ვსჭვრეტ და ჭანტაზიათათვის მოვიხსენებ, და ამისთვის არა საჭიროდ შევრაცხე განვრცელება ამისი, უგანათლებულესო, ვინადგან ვხედავ შენ შორის უმხურვალესსა ერთგულებისა როსიის ტახტისასა, და ეგრეთვე კმად მორჩილსა მთავრობისასა, ამისთვის არღა გავავრცელე წერა და იღვირს ვასხამ წერისა ორღანონისა. ხოლო იდეასა ჩემსა განვაგრძობ სა-

მთავრობისა თქვენისა წესდებულებათათვის, და სახლისა თქვენისა სისტემათათვის.

### წესდებულება სახლთათვის სამთავროთა

წესდებულება სახლისა და საქებელი სისტემაც კაცია სრულ ჰყოფს და მდგომობასა მისია, ხოლო სახლი უწესო უკანასკნელსა უბედურებასა ცხოვრებასა შინა შთაიყვანებს კაცია, დავეჭ თქვენცა ემოწმებით ამა ჩემსა ნანდვილსა აქსიომთა.

გააკეთეთ ორნი სასახლენი, ერთი ზუგდიდს მახლობელ აეხაზეთის საზღვრისა საზამთროთ, და მეორე საღაცა აღირჩიოთ. მახლობელ იმერეთის საზღვრისა საზაფხულოთ: იქმნებოდეს ყოფნა თქვენი ამა ორთა სასახლესა შინა სრულიად წელიწადსა შინა; ებრძანოს სახლთ უხუცესა და შეკრიბოს საზრდო ექვსის თვის კმა საყოფელი ზუგდიდს. და ექვსი თვის საღაცა იქმნეს მეორე სასახლე საზაფხულო, ესე ყოველი ანგარიშითა და აღრიცხვითა რომელ საკმაო იქმნებოდეს ექვსსა თვესა და არა დააკლდეს საზრდო ამა აღრიცხულთა უამთა.

პირეელს ნოემბრიდან აპრილის დასასრულამდის იქმნებოდეთ ზუგდიდს, და პირველის მაისიდან ოქტომბრის დასასრულამდე იქმნებოდეთ საზაფხულოსა სასახლესა შინა; იქონიეთ სახლსა შინა თქვენსა სხვათა სახმართა სახლთა გარეშე, ორნი სახლნი, ერთი უფროსი კანცელარიად (ესე იგი სამწერლო), და მეორე უმცირესი სახლი თქვენი სასასაიდუმლო (ესე იგი კაბინეთი).

### სასახლისა სფიცეთათვის

იყოლიეთ კანცელარიისა შინა ორნი კარგნი ჭკუიანი და მცოდნენი მწერალნი, და ერთი მართლად გამოცდილი და ცოდნასა შინა დახელოვნებული კანცელარიისა მართებელი, ამათ ყავდეს კანცელარიასა შინა ორნი ბიჭნი მოსამსახურენი კანცელარიისანი. ესე კანცელარიისა მართებელნი და ორნი იგი მწერალნი და ორნი მსახურნი კანცელარიისანი თქვენის საკუთრის ულუფით გამოიზრდებოდეს, კანცელარიისა მართებელნი და ორნი მწერალი თქვენსა საკუთარსა სტოლისა ზედა

დასხდებოდენ, და ორთა კანცელარიისა მსახურთა მიეცემოდეს თქვენის ულუფილამა.

გამოიძიოს და ოღრიცხოს კანცელარიისა მართებელმან წელიწადსა შინა რამდენისა ფასისა იკმაოდეს ქაღალდი, მელანი და ლაქი, და მიეცემოდეს ხაზინისაგან სასყიდელი ფული საკმავო წლისა, ქაღალდისა, მელნისა და ლაქისა და კანცელარიისა მართებელი იყიდდეს ამათ საჭიროთა ნიეთთა საკმავოსა წლისასა, რათა არა მოაკლდეს წელიწადსა შინა.

გააკეთოს კანცელარიასა შინა მართებელმან კანცელარიისამან უურნალი და შთასწერდეს მას შინა ყოველსა მიწერილსა წიგნსა ანუ ბრძანებასა ანუ გარდაწყვეტილსა ყოველსა საქმესა მას უურნალსა შინა, იმა რიცხვითა და იმა ნომერითა, რომელსა უამსა და წელსა და თვესა, და ანუ რაოდენსა ნომერსა შინა იქმნა საქმე ესე მოსაგონებელად და სამეცნიეროდ მოშავალთა დროთათვის.

### დაუტანტიათგის

გყავდესთ ორნი კეთილშობილთაგანი კარგნი და ჰკუიანნი ყმაწვილი აღუტანტად და ალასრულებინეთ სამსახური აღუტანტანი, რომელი ესე საჭირო არს თქვენთვის, და რად თუ არს თანამდებობა აღუტანტა არლა აღვწერე, ვინაიდგან იცით თქვენ ესე უმჯობეს.

### მოლარეთა და ფარეშთათგის

იყოს თქვენთვის ორი მოლარეთ უხუცესი, ორი მოლარე უფროსი და ორი მოლარე უმცროსი და თორმეტი ფარეში: ერთი მოლარეთ უხუცესი, ერთი მოლარე უფროსი, ერთი მოლარე უმცროსი და ექვსი ფარეში გახლდეს ექვს თვეს და ეგრეთვე ერთი მოლარეთ უხუცესი და ორი მოლარე უმცროს-უფროსი და ექვსი ფარეში მეორეს ექვს თვეს გემსახუროსთ, და ესრეთ რიგის გამოცვლით შეასრულებდენ მომქცევასა წლისასა.

მიებაროს მოლარეთ უხუცესია და მისს ხელ-ქვეშეთთა ყოველნი ტანისამოსნი და სახლისა მოსართავნი და შესამკობელნი, დასწმენდდენ ამათ და აკეთებდდენ და დაძველებულსა მოგახსენებდენ და ხაზინის თეთრიდამ გამოსცვლიდენ და ნაკლულევანსა იყიდდენ და ყოველსა ვალისამებრ ანგარიშითა და რიგითა შეინახდენ და თავიანთ დროს მოახმარდენ.

მიებაროსთ ამათ ჩაი, ყავე და შაქარი და ამგვარი სხვანი და ჩაისა და ყავისა იარაღნი, და მოლარეთ უხუცესი აიღებდეს ანგარიშს თუ წელიწადში რაოდენი საკმავლ არის თეთრი ჩაისა, ყავისა და შაქრისათვის და იმ ნაანგარიშევს თეთრს აღიღებდეს ხაზინადარისაგან, იყიდდეს ამა ნივთებსა და მოახმარდეს სასახლესა შინა და წლისა გამოცვლაზედ მისცემდეს ანგარიშსა ხაზინადარსა და ოდეს გამოვიდეს სრულის ანგარიშიდან, მაშინ კიდევ მისცემდეს წლისა საყოფა თეთრსა ხაზინადარი მოლარეთ უხუცესსა ჩაისა, შაქრისა და ყავესათვის.

იყოს ორსავე სასახლესა შინა საკუთრად ამა საქმისათვის თითო მოჯალაბე და მიებაროს ორ-ორი უღელი ხარი და ოდეს იყოს საჭირო, მაშინ წარგზავნიდეს მოლარეთ უხუცესი ფარეშსა, და ფარეში წარიყვანდეს მოჯალაბესა და იმა ორთა უღელთა ხართა და მოიტანდეს შეშასა, და მათ-მათ წილსა მისცემდეს, და განყოფდეს მოახლეთა საჯგომთაღმი, კანცელარიასა და აღუტანტაღმი და ეგრეთვე სამღდელოთაღმი და თვით სახლთა თქვენთა თვისცა იმათვანი იქმნებოდეს, და აწ ბრძანეთ საქებელად და საღიღებელად თქვენდა რათა კაცის მხრით შეშა ნუღარ მოიტანების, რადგანაც ცოდვაც არის და სასირცხოც.

ესე მოლარენი მოლარეთ-უხუცესნი და ფარეში გამოიზრდებოდეს საკუთართა თქვენთა ულუფათაგან და მისცემდენ საზრდოსა თქვენისა საკუთრისა სამზარეულოდამა.

### უუღუხეჩთათვის:

იყოს სახლსა შინა თქვენსა ყულუხეჩ-უხუცესი ერთი და ყულუხეჩი ოთხი, და ესრეთ გამოეცვლებოდენ დროთი და თვე-

ობით როგორც ზემოდ დავსწერე მოლარეთ-უხუცესისა და მოლარეთა და ფარეშთათვის ესენიც ისრე დროზედ გამოეცვლებოდენ და მუდმად გახლდეს ერთი ყულუხხით-უხუცესი და ოთხი ყულუხხი.

ამათ მიებარებოდესთ ყოველნი სუფრისა და ჯამისა იარაღნი ვერცხლისა თუ ჭიქა-საინისა, სუფრა ხისა თუ ფარჩა-ხითისა, დანა-ჩანგალი და კოვზნი, სამარილე და საღვინე და ყოველნი სახმარნი ჭამისანი, ესენი სწმედდენ, აკეთებდენ, შეინახდნენ და სუფრისა და ჭამისა იარაღის ანგარიში ჰქონდეს ხაზინადარსა, და თუ უბრალოდ დაიკარგოს ანუ გატყდეს ყულუხხით-უხუცესმან და ყულუხხით გარდაიხადონ და ესრედ შეინახონ და მათ დროზედ ფაქიზათ და რიგზედ ახმარდენ. ესე ყულუხხით-უხუცესი და ოთხი ყულუხხი თქვენის ულუფიდამ გამოიზრდებოდეს და ულუფა თქვენის ქარხნიდან მიეცემოდეს.

### მზინდართა და მეჯინიბეთათვის

იყოლიეთ ერთი თავადთაგანი მზინდართ-უხუცესი და სამი მზინდარი და მეჯინიბე რამდენიცა სახმარ იყოს.

ერთი მზინდარი უყურებდეს ყოველს თქვენს დაბმულს ცხენებს, მეორე მზინდარი უყურებდეს ჯოგის ცხენებს და მესამე მზინდარი გახლდეს თქვენ მოუცილებლათ გარეთ თუ შინ და ამაუნი მეტნი მზინდარნი ვინც არიან დაითხოვეთ, რადგან მზინდრის სიმრავლისაგან სოფელი და ხალხი დიდათ შეწუხებული არს. მზინდართ-უხუცესი გამოართმიდეს თეთრსა ხაზინადარსა და, რომელიც ცხენი ღირს იყოს დახურავდეს ჩულითა და საძაგრავითა და მისის მოწყობილებითა.

მზინდართ-უხუცეს და მზინდარს მიებარებოდეს რახტი, ასალი და ყოველივე ცხენთ მორთულობანი, და ისინი შეინახდენ რიგიანათ, სწმენდდენ, აკეთებდენ და მათ დროზედ მოგახმარდენ, ძველს გამოცვლიდენ, ნაკლულევანს მოგახსენებდეს და ესრედ სიმარჯვით იქცეოდეს.

მზინდართ-უხუცესი წარგზავნიდეს დროზედ კაცსა სარწმუნოსა და ყოველს სასახლეშიდ საკმაოდ შეანახვინებდეს

ცხენებისათვის თივასა და საღაც თივა არ იყოს მრავალსა ჩა-  
ლასა შეანახვინებდეს საზამთროდ, და საღაცა მიჩნილი არის  
ზამთარ დადგენა ჯოგისა, იმ აღგილზედ მზინდართ-უხუცესი  
წარგზავნიდეს მზინდარს და შეანახვინებდეს მრავალს ცხენის,  
საზრდოს რაც იყოს, და თუმც იქმნას დიდი ზამთარი მათ შე-  
ნახულთა საზრდოთაგან გამოაკვებოს ცხენები ჯოგისა რათა  
არა გაწყდეს ზამთრისაგან და შეიქმნეს დასაკლებელი თქვენ-  
თვის.

თქვენი ცხენები დაბმული რაოდენიც იყოს, ყოველთვის  
გახლდეს თქვენს სასახლეშიდ, წელიწადსა შინა ექვს თვეს ზუ-  
გდიდს ებას და ექვს თვეს საზაფხულო სასახლესა შინა, ამის-  
თვის ბრძანეთ კარგისა ახორისა გაკეთება, საღა დაიბმოდეს  
თქვენი ცხენები. მზინდართ-უხუცესი თანამდებარს, რომ ზამ-  
თრისათვის მოიმზადოს დაბმულთათვის საკმავლდ საზრდო რაც  
იშოვებოდეს იმა ქვეყანასა და სადიდამაცა რიგი იყოს მოატა-  
ნიებდეს ქერსა და სიმინდსა და შეინახდეს და როგორც რიგი  
იყოს ისე გამოკვებდეს ცხენებს, და რიგიანობა ეს არის, რომ  
ყოველთვის ცხენი რაოდენიც გყავდესთ, სულ თქვენს სასახლეში  
უნდა გებასთ და კიდეც ასრე და ამ წესით დაადგინეთ.

მზინდართა და მეჯინიბეთაგან დიდათ შეწუხებულ არს ხალ-  
ხი საზრდოს თხოვნისათვის და ამისთვის ასე ინებეთ:

თქვენს სამფლობელოში მართებსთ გარდასახადი, რომელსა  
უწოდებენ სამეჯინიბო გარდასახადად; მზინდართ-უხუცესი წარ-  
გზავნიდეს მზინდარსა და მოაკრეფინებდეს იმ დებულს სამეჯი-  
ნიბო გარდასახადსა ხორცსა, ღომსა და ღვინოსა და ნახევარ-  
სა შეინახდეს ზუგდიდს და ნახევარსა საღაცა იქმნეს საზაფხუ-  
ლო სასახლეშიდ, და იმით გამოიზრდებოდეს მზინდარი და მე-  
ჯინიბე და მზინდართ-უხუცესს მიეცემოდეს ულუფა განწესე-  
ბით ყოვლის იჯრისა თქვენის სამზარეულოდამ და იმ სოფ-  
ლის საბოჭისაგან დარჩებოდეს მზინდარი და მეჯინებე, ჯოგი-  
საცა და დაბმულ ცხენისაცა და სხვებ ნურაოთ შეაწუხებენ  
სოფელს მზინდარი და მეჯინებე, და თუ არ ეყოთ წელიწად-  
შიდ საზრდოთ ის სამეჯინიბო გარდასახადი, მერმეთ მიეცემო-

დეს ერთიანათ საკმავლ თქვენი ბელელ-მარნილან და ესრეთ დამტკიცდეს და ესრეთ განეგოს მზინდართ მეჯინებეთ საქვე.

### მეაბჯრეთათვის

გახლდესთ მეაბჯრეთ-უხუცესი და შეაბჯრე, და მიებარებოდეს ყოველი სამხედრო იარაღნი: ოოფი, ფიშტო, რხმალი, სატევარი, ჯაჭვი, ჩაჩქანი, ბეკთარი, ქარქაშილთა, ფარი და შუბი და ყოველნი სახმარნი სამამაცონი, დასწმენდდეს, აკეთებდეს, ფერვიდეს და მათ-მათ უამზედ მოგახმარდეს, და ესე მეაბჯრეთ-უხუცესი და მეაბჯრე გამოიზრდებოდეს თქვენის ქარხნის ულუფითა, განწესებული იჯრისა მიეცემოდეს, და ესენი უყვნენ ოთხი, ორნი მეაბჯრეთ-უხუცესი და ორნი მეაბჯრე, და ესენი ერთმანეთს რიგით გამოეცვლებოდენ.

### კურძულთათვის

დაადგინეთ ერთი კურძულთ-უხუცესი და კურძულნი, რამოდენიც საჭირო იყოს. გააკეთეთ სასახლისა რაოდენმე მოშორებ სახლი მეძებართა და ნაგაზთათვის და იყოს იმა სახლსა შინა პატივითა კარგითა.

კურძულთაგან დიდათ შეწუხებულ არიან ხალხნი სამფლობელოისა თქვენისანი რბევითა და ტაცებითა და ამისთვის ბრძანეთ აწ ნუ იქმნების, და საზრდო მეძებართა, მწევართა და ნაგაზთათვის ესრედ განწესდეს.

მიეცით ბრძანება ყოველთა სამფლობელოისა თქვენისა მოურავთა, რომელ მათ-მათ სამოურავოშიდ მოიწიონ სიმინდი, რომელმანმე ასი ქილა, რომელმანმე ოთხმოცი და რომელმანმე სამოცი და ორმოც და ათს დაბლა კი ნურავინ მოიწევს და იმ მოწეულს სიმიდს კურძულთ-უხუცესი შეკრებდეს ანგარიშით, ექვსის თვის საკმავს შეკრებდეს საზამთრო სასახლეში და ექვსი თვის საკმავს საზაფხულო სასახლეში და ამით გამოიზრდეთ მეაბჯრეთ-უხუცესი შატოთან და ზაფხულ მეძებარნი, მწევარნი და

ნაგაზნი და ნუ შეიწუხება კურძუალთაგან ხალხი, რომელნიცა  
ერთხმად ლალაღებენ კურძუალთაგან დიდსა მწუხარებასა, და  
ესე არა არს შესამატ სამფლობელოს მართებელობისა თქვე-  
ნისა, და ესრედ განაწესეთ ეითარ აღვწერე. კურძუალთ-უხუ-  
ცესსა და კურძუალთ მიეცემოდეს საკმავო ულუფა განწესე-  
ბით ყოვლის იჯრისა თქვენთა ბეღელ-მარანთაგან და სამზარე-  
ულოთგან და კურძუალი თავის სახლში დაამზადებდეს და ეს-  
რეთ გამოიზრდებოდენ.

### ბაზიერთათვის

დაადგინეთ ერთი ბაზიერთ-უხუცესი და რამდენიც ქარი  
გეყოლოსთ, იმდენი ბაზიერი, და ამათგანცა დოდი შეწუხება  
არის სოფელსა და ყოველნი დაკლებანი სოფლისანი და შეწუ-  
ხებანი მრჩობლადვე მოსაკლებელ არის თქვენის უგანათლებუ-  
ლესობისა, და ამისთვის ესრეთ ბრძანეთ: მექებარნი, რომელ-  
ნიცა ეყოლებათ ბაზიერთა, ისინი უწინარეს ამისა, რომელიც  
დავსწერეთ საზრდოდ მექებართათვის, იქიდან გამოიზარდოს,  
რომლითაც სხვანი მექებრები გამოიზრდებიან; და ქარი გამო-  
იზრდებოდეს, რომელიც თქვენსა შინა დაიკვლიან საკვლელი  
მისის ნაკუთალ გულითა, როგორც აქამომდე იყო განწესება,  
და სოფელსა და ხალხს ქათმის წართმევით ნუ შეაწუხებენ. ბა-  
ზიერთ-უხუცესსა და ბაზიერს მიეცეს ულუფა ბეღელ-მარნიდამ  
და სამზარეულოდამ და იგინი მათ სახლში გააკეთებდენ და  
ამით იცხოვრებდენ და სოფელსა ნუ შეაწუხებენ.

### გგამის მცგელთათვის

რიგი არის უნდა გახლდეს გვამის მცველად სამხედროთა-  
განი მარჯვე მამაცნი, რამოდენიმე კუთილ-შობილთაგანი თუ-  
მცა გახლავლარან მრავალნი, რომელსა უწოდებთ შინა ყმად,  
მაგრა გახლავს ერთობ მრავალნი და უწესოდ და აწუხებენ  
სოფელთა მესადგომობითა და ცხენის ჩაბმითა, თუ სხეა-და-  
სხვა მოქმედებითა და ყოველნი სოფლისა დაკლებანი და შე-

წუხებანი მოაკლდებიან თქვენის უგანათლებულესობის დი-  
დებასა და სახელსა და ამისთვის ესთა ინებეთ: გამოირჩიეთ  
ოც და ოთხნი კეთილ-შობილთაგანი კარგნი მარჯვენი კაც-  
ნი და მიეცით თავად ორნი თავადის შვილნი, ისიცა კარ-  
გი მარჯვე ჭაბუკი. ერთი თავადის შვილი და თორმეტი აზ-  
ნაურნი გახლდეს ექვს თვეს, და ერთი თავადის შვილი და თო-  
რმეტი აზნაურნი მეორესა ექვსსაც თვესა და ესრეთ შეასრუ-  
ლებდენ მომქუცევსა წელიწადისასა. იყონ იგინი ტანითა და  
შესამოსითა სხვათა შორის განსხვავებულ და ეგრეთვე კარგითა  
იარაღებითა და კარგის ცხენებითა. მათი ცხენები შეინახებო-  
დეს საღაცა უწინარეს ვსოდებით სასახლესა შინა თქვენსა, ახორ-  
სა. დაიბმოდენ იმა საზრდოთი, რომელიცა ამის წინარე დავსწე-  
რეთ. ესენი გახლდეს მოუცილებელადა ყოველს ჟამს, დაბრძანდე,  
მახლობელ თქვენსა დასდგენ, იარებოდეთ და შორი-ახლო  
მოგვყვებოდენ და ოდეს დაიძინებდეთ, ექვსი ერთსა კარსა  
და ექვსი ერთსა კარსა დასდგებოდენ მცველად თქვენდა და  
უბრძანებლად სახლსა შინა თქვენსა არავის შეუშობდენ თვი-  
ნიერ ფარეშთა და გათთა უხუცესთა. ესენი ნუ გაიგზავნება  
ნურცა ბოქაულად, ნურცა წიგნის წამლებად და ნურცა ნურას  
საქმესა ზედა, ყოველთვის მოუცილებელად გახლდენ, ჰქონდესთ  
ამათ თქვენთა სასახლესა შინა სახლი ერთი მახლობელ სახლი-  
სა თქვენისა და იყოფოდენ შას შინა. ესენი გამოიზრდებოდენ  
ესრეთ: ამათი უფროსი თავადი, რომელიცა იქმნება იმ თვეების  
დეუურნად იგი დაჯდებოდეს თქვენსა სუფრასა ზედა და იმა  
აზნაურთა ყავდესთ ერთი ბიჭი მზარეული მიჩენილი თქვენსა  
სამზარეულოსა შინა საკუთრად ამათდა და თვისად გაუკეთებ-  
დეს მისსა კმაყოფილსა განწესებულსა ულუფასა და მათ მიჩე-  
ნილსა სახლსა შინა დასხდებოდენ და იქ მიიღებდენ, და ესრეთ  
იქმნას განწესება ამათი.

### მესტუმრეთა და მზარეულთათვის

დაადგინეთ მესტუმრე ორნი და მზარეულნი ორნი უფრო-  
მი და ორნი უმცროსნი. ამასთან ორნი გასაზრდელნი მზარე-

ულნი კიდევ უმცირესი და ამასთან ორნი ღომის გამკეთებელნი მელომირცხილე და ორნი ხაბაზნი; ერთი შესტუმრე, ერთი პირ-ველი მზარეული, ერთი მის ქვეით მზარაული, ერთი სასწავ-ლებელი მზარეული, ერთი მელომირცხილე და ერთი ხაბაზი, ესენი ერთსა ექვსა თვესა იმსახურებდენ და ეგრეთვე ამ რი-ცხვით მესტუმრე, მზარაული და სხვანი გამოეცვლებოდენ და მეორესა ექვსსა თვესა იმსახურებდენ და ესრეთ შეასრულებ-დენ მომქუცესა წელიწადისასა.

ახლა განწესება არის, რომ ყოვლის სასახლიდან გამოიყვა-ნებენ მოჯალაბეს და ისინი ზიდვენ შეშას სამზარეულოსა შინა, პომელიც საჭირო არის და ესე დიდი მწუხარება არის მოჯალაბი-სა. აკლდება სასახლისა მუშაობასა შესაძნენსა და ვერცა საკმავლდ მოიტანებენ შეშასა და ესე ბრძანეთ, რომ აღარ იქმნას ესე ძველ-ნი განწესებანი და ამისთვის ასე ბრძანეთ და ასე იქმნას.

რომელსაცა სასახლესა შინა დაბრძანდეთ, იქაურს მოჯა-ლაბეს მიეცეს და მიებაროს ერთი კარგი უღელი ხარი ანუ ორი და ის ხარი ნურაფერზედ სხვად ნუ მოიხმარება, თვინიერ შეშის მოტანისა და ისი მოჯალაბე იმ ხარით მოიტანდეს შე-შასა სამზარეულოსა შინა და იმითი იქმნებოდეს მზადება საჭმ-ლისა და ესრეთ განწესდეს შეშისათვის და სხვათა მოჯალაბე-თა მიეცეს თავისუფლება და იმუშავონ თქვენთვის სასახლესა შინა. ქონდესთ ყოველნი კმაყოფილებით იარაღნი და ჭურ-ჭელნი სამზარეულოსანი სპილენძის თუ სხვისანი და გაუფრ-თხილდენ, რომ ცუდათ არ დაამტვრიონ და როდესაც დაძველ-დეს და ანუ დაიწვას და დატყდეს, მაშინ ანგარიშით ხაზინი-დან გამოიცვლებოდეს და ნაკლულევანი შესრულდებოდეს:

### ხორცისათვის, რომელიცა მიაქვთ ძველისა წესისაებდ

საწესოსა რომ უძახიან, ესე დიდათ აბრკოლებს თქვენს სუ-ფრას და ხარჯსა და ამისთვის ბრძანეთ, რომ საწესოს ნურვინ-ალილებს და რაც დაიკლას ყოველს კაცს მიეცეს მათ-მათი წილი უფროსად და უმცროსად და საწესო ნულარ აიღების, რომლი-

თაც დიდი სიუხვე მიეცემის ხორცსა საზოგადოდ საწილოსა და ამა საწესოს აღებითა სახლსა თქვენსა მრავალნი არიან მშეერ და მრავალნი კმაყოფილ, რომელი ესე არ არის კანონიერ და ვითარ დავსწერე, ესრეთ ინებოს უგანათლებულესობამან თქვენმან.

რაიცა ტყავიანი რაიმე დაიკლოდეს სახლსა შინა თქვენსა უოვლისა ტყავი მიშარდეს ხაზინადარსა და მით შეკრიბოს სასარგებლო რაიმე სახლისა და კვირის ტყავი და თორმეტის საუფლო დღესასწაულისა და არა სხვისა გაუჩინეთ მზარეულთა და მოხელეთა ვისდამიც ჯერ იყოს და ესეცა მათი შრომისათვის.

დიდი უწესოება არის ესე, რომ გამოიტანებენ დასარგებელს ხორცს ჩელტითა და არის იმაზედ ერთი ვაება და ერთი ხმიანობა და შეკრებულება და სხვა-და-სხვა შუღლი და ამბოხი და უწესოება; ამისთვის ბრძანეთ, რომ ნულარ იქნების ესე სასაცილო უწესოება და ამისი ასე ინებეთ: რაც რომ დასარიგებელი იქმნებოდეს ხორცი, მისცემდენ სამზარეულო-დამ მათ-მათ ულუფას, რომელსამე მოხარშულსა და რომელსამე ნედლად, მაგრა ხრიალითა და უწესოდ ნურცა იქ მის-დგებიან და ეგრეთვე იქნებოდეს პურისათვისცა და სხვათა დასარიგებელთა საზოგადოთ ულუფათათვის.

მესტუმრე, მზარეულნი და ხაბაზი გამოიზრდებოდეს თქვენისა ქარხნისა ულუფითა და ესრეთ დასდგეს მზარეულთ წესი.

### დგინდეთ მოხელეთათვის

დაადგინეთ ერთი მეღვინეთ-უხუცესი, და სამი მეღვინე, ექვს თვეს სამი და მეორე ექვს თვეს კიდევ სამი და ესრეთ შეასრულონ წელნი სრულნი. ამათ მიებარებოდესთ ყოველნი ღვინონი და სცვიდენ სამეღვინოსა შინა რიგიანად და რიგიანადცა ხარჯევდეს.

მეღვინეთ-უხუცესი შემოკრებდეს დროსა მაჭრობისასა ღვინოს ყოველს სოფლილამ რიგიანის ანგარიშით და ექვსის თვის საყოფს შეინახვიდეს ზუგდიდს და ექვსის თვისას მეორე სასახლესა შინა.

ოდეს იქნებოდეს მოსთვლება ღვინისა, მაშინ, სადაცა იყოს სამკვიდრო მამული თქვენი, იქ წარგზავნიდესთ სარწმუნოსა კაცისა და რიგიან და უკლებლად მოაკრეფინებდეს და რიგიან შეანახვინებდეს და განაჩიევდეს თეთრსა და შავსა და ცალ-ცალკე შეინახვიდეს.

უბრძანებდეს მეღვინეთ-უხუცესი და ჭურს კარგად გაა-რეცხინებდეს, რომ ღვინო არ წახდეს, თორემ ან ჭურმა წა-ახდინოს ღვინო ან ისე პოიპეს, რაც ღვინო მოუვლელობით წახდეს: სულ მეღვინეთ-უხუცესმან გარდაიხადოს. მეღვინეთ-უხუცესი უბრძანებდეს სადაც ბატონის მამული არის და ვის-ლამიცა ჯერ იყოს და შენინებიებდეს, აწმენდიებდეს და ამუ-შავებიებდეს, რათა უმეტეს ნაყოფიერ იქნას და გამრავლდეს მოსავალი ღვინისა.

მეღვინეთ უხუცესი ეძებდეს გასასყიდელ სა მამულსა და იყიდ-დეს ხაზინიდამა. მეღვინეთ-უხუცესი ყოველს ოთხ თვეზედ მის-ცემდეს ანგარიშს სახლთ-უხუცესსა და სახლთ-უხუცესი იმ ანგა რიშს თქვენს უგანათლებულესობას მოართმიდეს ოთხ თვეზედ.

მეღვინეთ-უხუცესი და მეღვინე გამოიზრდებოდეს თქვენის ქარხნის ულუფიდამ და ესრეთ დასდგეს მეღვინეთ წესი და გა-რიგება.

### სტუმართ გამგეთათვეს

დააყენეთ სახლსა შინა თქვენსა ერთი კეთილ შობილთაგანი მარჯვე გამოცდილი კაცი სტუმართ-გამვე და ახლდეს მას ერთი უმცირეს მისსა აზნაურიშვილი და სამზ ბიჭი მოსამსახურე:

შიგბარებოდეს მათ სტუმართათვის სახლი ორი ლეგოთესი და უდარესი, ჰქონდესთ სტუმართათვის ყოველნი სუფრის ია-რალნი: ორი თასი, ერთი აზარფაშა და ორმოცი საინი, სუფრა ჩითისა და ხისა, და შეინახდენ რიგიანათ არამც ურიგოთ არა გატყდეს ან არ დაიკარგოს და თუ ურიგოთ გატყდეს და ან დაიკარგოს სტუმართ-გამვე გარდიხდიდეს და თუ დაძველდეს ის კი ხაზინიდან გამოცვალოს და ნაკლულევანი აღავსოს.

მიებაროსთ სტუმართათვის ორი კარგი ნოხი და ერთი ქეჩა სტუმართათვის სხვანი ქვეშაგებელნი.

კვალად მიებაროს ტაშთი, თუნგი და ყოველი სამზარეულოს იარაღი და მისი მზარაული.

ოდეს მოვიდეს სტუმარი, ნუ დასჭირდების ბრძანება, მსწრაფლ მიეგებოს, სახლში ჩამოახდინოს, ცხენები მეჯინიბეს მიუბაროს და მოგახსენოს თქვენ, თუ ვინ არის და ვითარი კაცი არის.

შემდგომ ამისა გამოართვას სარდო სახლთ-უხუცესსა და მიჩენილსა მზარაულსა გააკეთებინოს და ღროჟედ მიართვას და ვითარიც კაცი იყოს მათ-მათი ხარისხად პატივს-სცემდეს და უზრუნველ ამყოფებდეს; რათა არა იქმნას ზრახი სახლისა და ესე ესთა გარიგდეს და ოდეს დაიდგინება სტუმართ-გამგე და ესე მცირე ჩემ მიერ წინადადებანი განიკარგვიან, მაშინ მჩავალნი უნათლესნი განგებანი და წესნი მიეცემიან, რომელიცა დიდი საქებელ იქმნების თქვენი და სახლისა თქვენისა ესე ვითარითა წესდებულებითა.

ოდეს არ იყოს სტუმარი, მაშინ სტუმართ გამგები და ხელ-ქვეშეთნი მისნი გამოიზრდებოდეს თქეენია ულუფითა, მიეცე-მოდეს დაუმზადებელი ბელელ-სამზარეულოდამ და ისინი მათს ჩენილ მზარეულს გააკეთებინებდენ და ესეთ გამოიზრდებოდეს სტუმართ-გამგე და ხელქვეშეთნი მისნი.

## სახლთ-უხუცისათვის

იმყოფებოდეს სახლსა შინა თქეენსა სახლთ-უხუცესი. სახლთ-უხუცესი ამისთვის ეწოდების, ყოველსა სახლსა უნდა უყურებდეს, სახლის გაწყობილებასა, სასმელსა და საჭმელსა კანონიერად დახარჯვასა, სტუმრისა პატივისცემასა და ყოველსა სახლისა. თქეენისა კეთილ-განწყობილებასა და საქებელსა საქესა და ემკაცროდეს ყოველსა სახლისა თქვენისა სასირცხოსა და უკადრსა საქმესა.

სახლთ-უხუცესა თანა აძს, რომელ შემოკრებდეს ყოველსა საჭიროსა საჭმელსა და ჭასმელსა ექვსის თვის საყოფს ერთ სა-

სახლესა შინა და ექვსი თვისას მეორე სასახლესა შინა და ანგარიშით შეკრებდეს, არამც დაკლებულ არ იქნას ის ექვსი თვისა მიჩენილი საზრდო და დახარჯოს ყოველივე ანგარიშითა სტუმარსა თუ შაინძელსა ზედა და ყოველსა მეოთხეს თვესა ანგარიშსა მოგარომევდეს დახარჯულისა და დაშთომილისასა.

როდისაც ახლის შემოსვლა იქმნეს ღვინისა და ღომისა მას. უანსა წარავლინოს სახლთ-უხუცესმან კაცი სარწმუნო სოფლითი-სოფლად და მობოჭოს ყოველი დებულნი გარდასახალი და შემოკრიბონ სასახლესა შინა მის-მისი მხრის მის-მისსა სასახლესა შინა და ქონდეს კარგი ბელელ-მარანი და შეინახებოდეს მათ შინა ანგარიშითა და წყვითა და თვინიერ ამა. დებულთა გარდასახალისა ნურა გარდახდების ხალხსა ამისათვის, რომელ ხალხის სიღარიბე დიდად დააღარიბებს სახლსა თქვენსა, მერწმუნენით. და უბრძანოს სახლთ-უხუცესმან იმა ჩენილთა გარდამხდელთა ბოქაულთა, რომელ არა რაიმე სხვა იუსამართლოვოს სოფელსა შინა და თუ იკაღნიეროს და შეაწუხოს ხალხი, მაშინ რისხვით მოკითხოს სახლთ-უხუცესმან.

სახლთ-უხუცესი ან თვითონ წავიღოდეს ანუ მაგიერ კაცი წარგზავნიდეს ყოველსა სოფლითი-სოფლად და ანახვინებდეს ყანასა, საღაცა არს მუშაობა სამთავრო და საკმაოსა ყანასა დაადებინებდეს და საკმაოსა მოაწევინებდეს და ეგრეთვე მოსთვლებისა დროსა დასწრებდეს სარწმუნოსა კაცსა და ოდეს შეკრიბონ მომავალისათვის სამუშავოსა საჭმელ-სასმელსა საკმაოსა დაუტევებდეს და სხვას წყვითა და ანგარიშითა მოატანინებდეს საღაცა დანიშნულ არს სასახლე და იქ შეინახდეს.

სახლთ-უხუცესია ვალი ყოველთა უფრო ეს არის, რათა შეიტყოს ანგარიშით თუ რამოდენი იკმავებენ სასმელ-საჭმელი წელიწადსა შინა და იმ ანგარიშითა და იმა წყვითა შემოკრებდეს და დახარჯვიდეს, თორებ უანგარიშო ხარჯი სახლთ-უხუცესია დიდი სირცხვილი არის და უგონებობა და ყოველნი ხარჯი გაფუჭებულ იქმნების და სახლიცა მშიერ იქმნების და ესე სარცხვინელ არს სახლთ-უხუცესია.

სახლთ-უხუცესს ახლდეს ერთი აზნაური გამოცდილი კაცი მისდა ნაცვლად ზედა-მხედველი ყოვლისა საქმისა და ორ-

ნი მოსამსახურები და ესე სახლთ-უხუცესი და მხლე მისი გა-  
მოიტანდეს მისსა საკმაოსა ულუფასა და გააკეთებდეს და ამი-  
თი გამოიზრდებოდეს და ესრეთ დასდგეს სახლთ-უხუცესისა სა-  
ქმენი.

ესე საკმავო არს ჩემგან მოსახსენებელად სასახლისა სეიტათა-  
თვის, რომელსაცა ამის ნაკლულევანსა თქვენ აღავსებთ და გაუს-  
წერებელსა განმართავთ და კეთილ წესიერებითა განკარგავთ.

ამასთანავე მწადოდა რათა უკანათლებულესისა მეუღლი-  
სა თქვენისა დედოფლისა მოსამსახურეთა თვისცა აღმეწერა,  
გარნა არღა შევრაცხე საჭიროდ. ოდეს განიხილავს ამა ჩემსა  
მოხსენებასა თვით, საქებელითა გონიერებითა თვისითა მისწვ-  
დების და განსჯის თუ რომელი და რაოდენნი საჭირო არიან  
მათთვის მსახურნი და მოხელენი და თვით იგი დაადგინებს  
და განაგებს ვითარ ჯერ არს და მე ესე ვითარისა იმედეულ-  
მა დაუტევე აქა აღწერაჲ.

### სასახლისა სამღვდელოთა სეიტათჭოვის

იყოს სახლსა შინა თქვენსა მოძლვარი თქვენი და ახლ-  
დეს მას ერთი არხიდიაკონი და ერთი დიაკონი და ორი ფა-  
რეში და ერთი მზარაული.

მიეცემოდეს წელიწადსა შინა მოძლვარსა თქვენსა შესა-  
ფერი ხალათი მას და აგრევე მისსა არხიდიაკონსა.

ყოველნი დიდნი საუფლონი დღენი და დღენი ცერემო-  
ნიათანი გარდაიხდებოდეს მოძლვართა თქვენთაგან უკეთუ არა  
იყოს არხიერი და ქონდეს მოძლვარსა თქვენსა ნება მიცემულ,  
რომელ სასახლისა ეკულესისა შინა გაუვიდოდეს ყოველნი  
ბრძანებანი სხვათა სამღვდელოთა კარისა თქვენისათა.

დაიდგინეთ სახლსა შინა თქვენსა დეკანოსი ერთი პირ-  
ველი ენქერლუსანი და მეორე მღვდელი უმცირეს მისსა და ერ-  
თი სასახლისა არხიდიაკონი და ორნი დიახოქი და სამნი მგა-  
ლობელნი სასახლისანი.

აშათ მიეცემოდეს წელიწადსა შინა თქვენგან მათ-მათი შე-  
საფერი ხალათი, ესენი გამოიზრდებოდეს თქვენისა ულუფითა,  
მოძღვარსა თქვენსა მიეცემოდეს ბელელ-სამზარეულოიდამ და-  
უმზადებელი ულუფა საკმავო და მისი მზარეული დამზადებ-  
დეს და ამით იქმნებოდეს გამოზრდა მოძღვრისა და მისთა მხლე-  
თა; ხოლო დეკანოსნი, დიაკონი და მგალობელნი ესენი თქვენ-  
თა ულუფათაგან. და ოდეს მიზეზითა რაიმეთი არა დასხდენ  
სტოლსა თქვენსა ზედა, მაშინ მესტუმრემან თქვენმან პატივით  
მიართვას ყოველნი დამზადებულნი სანოვაგენი ვითარ ჯერ  
არს და ესრუთ გამოიზარდონ.

იყოს სასახლისა ეკკლესიასა შინა ყოველნი სახმარნი  
საღმრთო ჭურჭელთანი ყოველნი სირმისა და ოქროისანი და  
ამასთან ორნი სირმისა სურანი, ერთი ღვინისა და მეორე წყლი-  
სათვის, სხვათა თანა საღმრთოთა ჭურჭელთა ესეცა უეჭველად  
უნდა იყოს.

შემდეგ ამისა წიგნი საეკკლესიონი უკლები, შესამოსელ-  
ნი სამღვდელონი ორნი მღვდლისა, ორნი დიაკონისა და ორ-  
ნი დიახოქისანი. ერთი მღვდლისა, ერთი დიაკონისა და ერთი  
დიახოქისა იყოს უმძიმეს მეტობისა საღლესაწაულოდ და მეო-  
რე უდარეს პირველისა საყოველთაო დღეთა სახმარი.

ვინალგან სამღრთო და სამღვდელო წესდებულება გვი-  
ბრძანებს ლიტურლისა შინა უსისხლოდ მსხვერპლად მხოლოდ  
ლიტონსა ხორბალსა და ფერ შვენიერსა, უზადოსა ღვინოსა,  
ამისთვის ებრძანოს სახლო-უხუცესა, რომე საგანგებოდ ამისა  
შეინახებოდეს ყოვლითურთ წმინდა პური და ღვინო საყოფნე-  
ლი სრულისა წლისა, რომელ თვინიერ იმისა არა დაიხარჯო-  
დეს და იყოს დამარხულ ამა სამღრთოთა მსახურებისათვის.  
გამოიანგარიშეთ წელიწადსა შინა რაოდენი საკმავო იქნებო-  
დეს სანთელი და საკმეველი და იყიდებოდეს ხაზინიდამ და  
ოთხ-ოთხისა თვისა გინა ნახევარ წლისა საკმავო მიებარებოდეს  
ღეკანოსსა და დახარჯვიდეს წესჩერად და დახარჯვისა შემ-  
დგომად კვალად მიებარებოდეს რიგიანის ანგარიშითა.

ყოველნი სამკაულნი საეკლესიონი შინათ ამისა აღწერილი მიებარებოდეს ანგარიშითა პირველსა დეკანოსსა და იგი გაუფრთხილდეს, წენდეს, აკეთებდეს და დაძველებულსა მოხსენებით გამოცვლიდეს და ესრულ იქნეს წესდებულება სასახლისა სამღვდელოთა სვიტათათვის, ხოლო რაიცა მაკლს მე ამას შინა, გონიერება თქვენი აღავსებს და კეთილად განკარ გავს.

### საზოგადოდ მამულისა მსახურთა და მთხულეთათვის

გამოირჩიეთ სამფლობელოსა შინა თქვენსა ოთხნი კეთილნი გვამნი გამოცდილნი, მცოდნენი და უქრთამნი და დაადგინეთ მრჩეველად, რომელსა ევროპიელნი უწოდებენ კამიტეტი. ახლდესთ ამა ოთხთა მრჩეველთა ორნი უცხო მწერალნი და ესენიცა დაცულნი გვამნი.

ახლდეს ამა ოთხთა მრჩეველთა თითო ან ორ-ორნი მოსამსახურენი და ერთი მზარაული.

მიეცემოდესთ ამათ ულუფა დაუმზადებელი და ამათი მიზენილი მზარაული დაამზადებდეს და მიიღებდენ და ამით გამოიზრდებოდენ.

ჰქონდესთ ამათ სამყოფი სახლნი ერთად ანუ ცალ-ცალკე მათთვის და მათთა მსახურთათვის.

იყოს ერთი სახლი სამრჩევლო, რომ თვინიერ რჩევისა ნურვინ შევალს და იყოს სახლსა მას შინა სტოლნი და საწერელნი და სამწერლონი და ქალალდი და სხვანი სახმარნი.

არჩევდენ ესე მრჩეველნი, ფიქრობდენ, მიურულებელად აძლევდენ თავსა მათსა დიდსა გამოძიებასა შინა საზოგადოდ სამფლობელოისა თქვენისათვის თუ რა უმჯობეს არს, ანუ რა გაამდიღრებს სამფლობელოსა თქვენსა, საიდამ შემოვა ბედნიერება და გამდიღრება ხალხისა ამათ მიურულებელად ფიქრობდენ და არჩევდენ.

არჩევდენ მეზობელთა გარემოთათვის თუ რა უმჯობეს არს.

რომელიცა საქმენი გამოსაძიებელნი შეხვდეს თქვენსა უგანათლებულესობასა, იმა საქმესა მისცემდეთ მათ მრჩეველთა

გამოსარჩევლად და გამოარჩევდენ თუ რომელი უმჯობეს არს და გამოარჩეულსა მათსა დასწერდენ და მოაწერდენ ოთხნივე ხელსა და თავის დროსა წარმოუდგენდენ თქვენსა უგანათლებულესობასა და თქვენ მხილველი მისი, რომელიცა ჯერ არს დაამტკიცებ და რომლიცა არა ჯერ არს უარყოფთ. ხოლო მას დაამტკიცებულსა თქვენსა გარდასწერენ კანცელარიასა შინა თქვენსა და კოპიასა დაიტევებენ მრჩევლობისა უურნალსა შინა და თვით ასლსა თქვენ მოაწერთ ხელსა და ანუ კომიტეტი დასამტკიცებელად, და უბრძანებენ საქმესა მას შესასრულებელად ვისდამიცა ჯერ არს და ესრეთ შესრულდება საქმენი კომიტეტთანი, ესე იგი მრჩეველთანი.

მოწყალეო ხელმწიფეო, გონიერებით იგრძნეთ ესე რომელ დიდი განსვენება არს თქვენი და სასარგებლო მამულისა გარნა მათ კომიტეტთა დიდი საზოგადო ტვირთი კიდავნ რათა არა წარუწყმდესთ ერთი რომელიმე საქმენი საკუთრად თქვენი და ანუ საზოგადოს მამულისა განუნახველად ვინადგან ყოველნი საქმენი სამთავრონი, და ანუ მამულთა თქვენთანი ყოველნივე მათდამი დამოკიდებულ არს, და აპა იფიქრეთ თუ რაი ღვწანი და მიურულებელნი მეცადინოებანი მართებსთ მათ კომიტეტთა ესე იგი მრჩეველთა, და თუ ესთა არა ფრთხილი იქმნენ მაშინ სიტყვა უნდა მისცენ ღმერთსა და მთავრობასაცა.

### სასამართლოთათვის

დაადგინეთ კაცნი გულისხმიერნი და მოშიში ღვთისა და უქრთამო, გარნა საღაცაა შიში ღვთისა მუნ არცა ქრთამი იქნება. ასე ვითარნი ორნი მოსამართლენი მოუცლებელად თქვენს კარზედ იმყოფებოდენ.

ყავდესთ ამათ ორნი გამოცდილნი მწერალნი, ახლდესთ თითო ან ორ-ორნი მსახურნი და ერთი მზარაული, და მიეცე მოდესთ ამათ ულუფა დაუმზადებელი განწესებული ყოვლის იჯრისა და გააკეთებდეს მათი მზარაული და მით გამოიზრდებოდენ.

ქონდესთ სახლი სამყოფი ოვისათვის და მსახურთა მათ-  
თათვის.

იყოს ერთი სახლი სასამართლო და იმა სახლში თვინიერ  
სამართლისა მისსა დროსა ნურვინ შევალს.

იდგეს სახლსა მას შინა სტოლნი, და საწერელნი სამწერ-  
ლონი და ქალალდი დაიწერებოდეს მას შინა ყოველნი გაჩე-  
ნილნი და განსჯილნი სამართალნი და იგი გარდაწყვეტილნი  
საქმენი შთაიწერებოდეს უურნალსა შინა; ერთი მიეცემოდეს  
მოდავეთა და ერთი შთაიწერებოდეს უურნალსა შინა და შე-  
ინახებოდეს სასამართლოსა შინა.

ოდეს გარდასწყდეს სამართალი, ექმნეს ბრძანება ბო-  
ქაულთ-უხუცესსა და ბოქაულთა და აგრევე მოურავთა და  
მოხელეთა, რომელ ოდეს მისწერდეს მღივანბეგნი უსმენდენ  
და მღივანბეგი მისწერდეს ამათ ხსენებულთა ვისლამიცა ჯერ  
იყოს და იმა გარდაწყვეტილსა საქმესა შეასრულებდენ მღივან-  
ბეგისა მიწერითა, და იმ მღივანბეგისა მიწერილსა წიგნსა შეი-  
ნახვიდენ და შემდგომად, რომელსამე დროსა წარმოგიდვენდენ.

რომელიცა სამართალი გაჩნდეს მოსამართლეთაგან ნურ-  
ვინ ვიკადნიერებს გარდახდომასა, წიანაალმდეგობასა და დარ-  
ღვევასა მისსა ნურცა თქვენ, მოწყალევ ხელმწიფევ, და ნურცა  
სხვანი ნურა რომლითამე მიხედვითა.

იქმნების მოსამართლესა ჰქონდეს სამართალთა შინა შეც-  
დენა, მაშინც ესთა ნუ დაირღვევის, მოალებინეთ იგი განჩინე-  
ბისა წერილი, განიხილეთ და თუ მოსამართლეთ ექმნას გან-  
დრეკილება, მაშინ მოსამართლეთა მოეკითხოს დიდის რისხეი-  
თა და გარდახდევინებითა, და თვინიერ ამისა განჩენილნი სა-  
მართალი მოსამართლეთანი ნუ დაირღვევის ნურა საქმითა ნუ-  
რცა დიდთაგან და ნურცა მცირეთაგან, მიხედეთ ბრძენი რასა  
იტყვის: „ყოველი სამართალი წარწყმდების, საქმე რა წადი-  
ლისა მიმართ წარვალს“.

სრულიად სამფლობელო თქვენი განყაფით ოთხ ოკრუგად,  
ესე იგი ითხ სასამართლოდ: ერთად ავხაზეთი ზედ-წოდებით  
სამურზაყანო; ორად ოდიში, ერთად ხობის წყალს გალმართი

და მეორეთ ხობის წყალს გამოლმართი, ესე სამი, და მეოთხედ ლექსომი სვანეთიანად.

დაადგინეთ ერთი მოსამართლე სამურზაყანოს, და ყავდეს ერთი მწერალი თანაშემწედ მისსა, და იმყოფებოდეს სამურზაყანოს ბოქაულათ ოთხნი მარჯვენი კაცნი და არიგებდენ საქმესა ვითარ ჯეროვანი არს.

ავხაზეთისა მოსამართლესა ჭონდეს ნება მიცემული, რომ ორას ყურუშამდე სამართალსა თვით გარდასწყვეტდეს, და ორასის ყურუშის უმეტეს რაც იქმნეს, კარის მოსამართლესთან გამოგზავნიდეს და კარზედ გარიგდებოდეს, და როდესაც კარის მოსამართლე გარდასწყვეტს, მაშინ კარის მოსამართლე უბრძანებს ავხაზეთისა ბოქაულსა და გაარიგებს ბრძანებითა კარის მოსამართლისათა თუ ვითარ გარდასწყდა.

ერთი მოსამართლე და ერთი მწერალი და ორი ბოქაული იყოს ხობის-წყალს გალმართ, და ამის მზგავსად გამოლმა და უგრეთვე ლექსომს.

ამათ ჰქონდეს ნება ასის ყურუშისასა თვით ისინი გაასამართლებდეს და გარდაწყვეტდეს და მიაცემინებდეს, და ასის ყურუშის უმეტესი რაც დარჩეს სასამართლოთ, მაშინ კარის მდივანბეგებთან წარგზავნიდენ და კარის სასამართლოდამ გარდაწყდეს მათი საქმე, და ვისდამიცა ჯერ არს კარის მოსამართლე მისწერს და გაარიგებინებს იმა საქმესა.

ისი ოკრუგის მდივანბეგი და ბოქაული უყურებდეს მათდამი რწმუნებულთა სოფელთა, ანუ ერთმანეთს არ ემტერონ ან ერთმანეთს არ მძლავრონ ისე რიგით მოუარონ სოფელსა და ქვეყანასა, და ესრეთ იქმნას სასამართლოისა საქმისა განკარგვა.

### საქინადანთათვის

დაადგინეთ ერთი გონიერი და არებმეტიკისა მცოდნე კაცი ხაზინადრათ, რომელსაცა მიებარებოდეს ყოველნი გამოსავალი სამთავროისა თქვენისანი თვინიერ სასმელ-საჭმელთა.

მიებაროს ბაჟი, იჯარა, საყრი, საბოქაულო ჩამოსარჩენი და ყოველნი სამთავრო გამოსავალნი თქვენი.

ყავდეს ხაზინადარსა ერთი კარგი მწერალი თანაშემწედ.

ახლდეს ხაზინადარსა ერთი თუ ორი მოსამსახურე და მზარაული.

მიეცემოდეს ხაზინადარსა ულუფა დაუმზადებელი სახლთ-უხუცისაგან გაჩენილი ყოვლის იჯრისა და განწესებული და გააკეთებდეს მზარაული ხაზინადრისა და იმით გამოიზრდებოდეს ხაზინადარი და მხლენი მისნი.

ჰქონდეს სახლი სამყოფი ხაზინადარსა და მხლესა მისსა.

გააკეთეთ ერთი სახლი კარგი და მაგარი სახაზინო და შესანახავი ნივთთა სახაზინოთა და ებარებოდეს ხაზინადარს, რათა მას შინა შეინახოს ყოველნი ნივთნი ხაზინათანი.

ხაზინადარს თანა აძს, რათა საქებულისა და რიგიანის ან-გარიშით ხარჯევდეს ხაზინასა, და ეცდებოდეს წლის გამოსავ-ლისაგან მოარჩინოს რამოდენიმე და ის მორჩენილი ეცადოს, რომ გაამრავლოს და ამთავნოს.

ხაზინადარსა თანა აძს, რომელ ეძიებდეს გამოსავალსა სამ-თავროსა და მამულისაგან გამოსავალსა. და უმეტეს ერთა ფი-ცხლად ეძიებდეს თუ საიდამ გამრავლდება ხაზინა ანუ საი-დამ შეემატება.

იყი თუ მთავარსა და უფრორე სახლსა თქვენსა რამო დენი გაუდის საჩუქრად ცხენი, თოფი, თუ სხვა ნივთები; ამი-სათვის განლვიძებით იყოს ხაზინადარი და ეძებდეს თოფსა, ცხენსა და სხვათა ნივთთა, რათა იეფად იყიდდეს თოფს, მეაბ-ჯრეთ მიაბარებდეს და გააკეთებდეს, რანიცა ნაკლულევან არს, და ცხენს მზინდართ-უხუცესსა და გაუსუქებდეს, და ესენი დროზედ ყიდულის ფასის უმეტეს მოიხმარებდეს და ამით სარ-გებლობა იქმნეს.

ხაზინადარს თანა აძს, რათა ეძიებდეს სადაცა შეიტყოს გასასყიდი მამული, და ანუ ადგილი, ანუ გლეხი თუ კაცის სული, იყიდოს, შემატოს მამულსა სამთავროსა; რათა მით სარ-გებლობა იქმნეს.

ეცადოს ხაზინადარმა, რომ წლის მოსავლისაგან რამოდე-ნიშე გარდასდვას და იგი წარგზავნოს სტამბოლად ანუ რუს-

თად, სადაც უმჯობეს განიხილოს, და იქიდამ იეფის ფასით მო-  
ატანინოს თქენთვის და თქვენის ჭამილისათვის ტანისამოსნი  
თუ სხვანი საჭირო ნივთნი. აქ სამათ იძლევებიან აქაურნი გამ-  
ვაჭრებელნი და იქიდამ მოვიდეს იეფის ფასით და იქმნას სარ-  
გებლობა კმად საყოფელი.

კვალად განმეორებით ვეტყვი ხაზინადარსა, რათა გულს  
მოდგინედ ეცადოს, რომ რამოდენიმე წლის მოსავალზედ მო-  
არჩინოს და ისი მორჩენილი თეთრი ასარგებლოს, და რად-  
განაც ერთხელუე დაიდება ხაზინაშიდ თეთრი და შირი დაე-  
ბმის არღა აღმოიხოცების ხაზინა და ამის მეცადინოება ჰყოს  
ხაზინადარმა საქებულად თავისია თვისისა.

კვალად ამისთვის ვაიძულებ ხაზინადარსა და განვაკრძა-  
ლებ, რომელ მოურულებელად მეცადინეობდეს და ეძიებდეს  
გამოსავალსა სამთავროსასა, და შესაძინელსა და განსამრავლე-  
ბელსა ხაზინისასა.

ხაზინადარსა თანა აძს, რომელ ყოველნივე გონიერების  
ანგარიშით დახარჯოს და რაცა შევიდოდეს ხაზინაშიდ და ან  
რაც გამოვიდოდეს, დაიხარჯოდეს, ყოველს ოთხის თვის თვე-  
ზედ ანგარიშსა მოართმიდეს ხაზინადარი თქვენს უგანათლე-  
ბულესობას; ხოლო რაიცა აკლს ამას, თქვენი გონიერება და  
ცდანი ხაზინადრისანი შემატებენ და შეასრულებენ.

### ბოქაულთ-უხუცესთა და ბოქაულთათვის

იყოს სახლსა შინა თქვენსა მოუცილებლად ბოქაულთ-  
უხუცესი და ყველეს ერთი კარგი მწერალი და ახლდეს ორი  
თუ სამი მოსამსახურე, და ამასთან ოთხი ბოქაული კეთილ  
შობილთაგანი მუდმათ ახლდეს, და ესე ბოქაულნი სამ-სამ თვე-  
ზედ ოთხ-ოთხნი ერთმანეთს გამოეცვლებოდეს, ესრეთ დას-  
ლვან წესი და განკარგულება.

ჰქონდეს სახლი სამყოფი ბოქაულთ-უხუცესსა და ბოქა-  
ულსა.

მიეცემოდეს საჭმელი და სასმელი ერთხელვე განჩენილი  
სახლთ-ხუცისაგან საკმავო, და ბოქაულთ-უხუცესისა მზარაული

დამზადებდეს და ბოქაულთ-უხუცესი და ბოქაული ამით გა-  
მოირჩდებოდეს.

ოდეს გარდასწყდება საქმე, მაშინ ებრძანების ბოქაულთ-  
უხუცესსა თვით თქვენის უგანათლებულესობისაგან, ანუ რჩე-  
ვათა, და ანუ მოსამართლეთაგან, და იგი ბრძანებულსა საქმესა  
ზედა წარგზავნოს ბოქაული და გაარიგებინოს იგი საქმე ვის-  
გან ვითარ ბრძანებიეს, და რაიცა იმა ბოქაულობიდამ გამო-  
სავალი იქმნეს სამთავრო, ისი ბოქაულთ-უხუცესმა ანგარიშით  
ხაზინადარსა მიაბაროს და წიგნი გამოსთხოვოს ბოქაულთ-უხუ-  
ცესმა ხაზინადარსა, რომელ ესე და ესე ამოდენი მომბარდა-  
თქო, და ისა წიგნი თქვენს უგანათლებულესობას უნდა წარ-  
მოუდგინოს ბოქაულთ-უხუცესმა.

რადგანაც მესმის და ნამდვილადცა უწყი, რომელ ბოქა-  
ულისაგან დიდი შეწუხება არის ხალხის და დიდი რბევა, დიდი  
წართმევა და ავოხრება, და საბოქაულოსიცა დიდი გარდახდე-  
ვინება, ამისათვის ვალი გაქვსთ, მოწყალევ ხელმწიფევ, რათა  
ბრძანოთ და არღა იქნეს ესე საქმენი, და ბოქაულთ-უხუცეს-  
საცა თანა აძს ესე, რომელ განეკრძალოს და ბოქაულთაცა  
აღუკრძალოს, რომ ნუ იქმნენ ესე ვითარსა დაკლებასა მამუ-  
ლისასა.

ოდეს წარგზავნიდეს ბოქაულსა, ვისზედაცა წარიგზავნოს  
ბოქაული, ნუ დააოხრებს და ნუ მოსთხრის და ნურცა რას  
წაართმევს თეინიერ იმისა რაც გარდასახადი არ დასდებიეს იმა  
კაცა, და ის მხოლოდ გარდაახდევიოს რაც მოსამართლეთა-  
გან დასდებიეს და გასჩენიეს გარდასახადი და სხვას ნურას  
ავნებს, და ეგრეთვე საბოქაულოს ნუ აიღებს უფროს ამისა,  
რამდენი ათი მარჩილი იქმნეს გარდასახადი ათ მარჩილზედ  
მარჩილს აიღებდეს, და იმას გარდაახდევიებდეს საბოქაულოს  
ვისაც გარდასახადს მისცემდეს, და გარდამხდელს ნურას თხო-  
ვენ. ორივე კერძოთ გარდახთა არ შეიძლება.

იციან ბოქაულთ, რომ ერთხელ რომ გაგზავნიან საბოქაუ-  
ლოდ, არღა მიიქცევიან კვალად სასახლედ, დავლიან სოფლითი-  
სოფლად და აწუხებენ სოფელსა და ესეცა აღეკრძალოს.

ოდეს წარგზავნიდენ ბოქაულსა და ვისთანაცა წარგზავნიდენ და იმა საქმეს გადასწყვიდდეს, მერმეთ ისევ სასახლედ და მოიქცეოდენ და სოფლითი-სოფლად სიარულს დაეთხოვონ, ესრეთ იქნას ბოქაულთ-უხუცესთა და ბოქაულთა საქმენი და წესნი; ხოლო ნაკლულევანსა აღავსებს კეთილ-გონიერება თქვენი.

### ქეშიგთ-უხუცესთა და ქეშიგთათვის

იმყოფებოდეს სახლსა შინა თქვენსა ერთი ქეშიკთ-უხუცესი და ახლდეს ხუთნი ქეშიკნი სვანისანი, და იგი ქეშიკნი რიგით სამ-სამი გამოიცვლებოდენ მესამ-მესამე თვეზედ.

ახლდეს ქეშიკთ-უხუცესსა ერთი ან ორნი მოსამსახურენი.

ჰქონდეს სახლი სამყოფი ქეშიკთ-უხუცესსა და ქეშიკთა.

მიეცეს ულუფა ბელელ-მარნიდამ დაუმზადებელი სახლთ-უხუცისაგან ერთხელვე განწესებული საკმაო მათი და გააკეთებდეს ქეშიკი ანუ ყავდეს ქეშიკთ-უხუცესსა ერთი მზარაული და იგი გააკეთებდეს და ამით გამოიზრდებოდეს ქეშიკთ-უხუცესი და ქეშიკი.

იყოს თანამდებობა ქეშიკთ-უხუცესისა და ქეშიკისა ესე, რომელ იქმნება შესწყრეთ ვისმე და ბრძანოთ დაჭირვა და ყარაულს ქვეშ ყოფნა, მიებარებოდეს მათ და ქონდესთ სახლი საგამგებოდ გაკეთებული დასაცემო პყრობილთა და სცვიდენ მას შინა, ბრძანებისაებრ თქვენისა.

იქმნების სოფლიდამ მოვიდეს ტყვე ვინმე განსაკითხველი სასამართლოსა შინა, მაშინ საქმის გარდაწყვეტამდის მიებარებისთ მათ და დაიცვენ ესე ვითართა განსაპატივებელთა კაცთა და ესე ვითართა კაცთა დაცვა და შენახვა მათი თანადებობა არს; და იქმნების სხვებრცა შბრავალთა საჭიროთა საქმეთა შინა მოიხმაროთ და იმსახუროთ.

### გზათ-გამგეთათვის

დაადგინეთ ერთი მარჯვე კაცი, რომელმან არ იცოდეს სოფლისა შეწუხება და მისა ხელჭვეშეთად ორნი კეთილ-შო-

ბილნი სხვანი გზის მკეთებლად, რომელ ყოველს შენს სამულობელოშიდ გააკეთოს გზა, განსწმინდოს, გააფართოვოს, ყოველს სოფლითი-სოფლამდე გზა გასჭრას და გააკეთოს ეგრეთვე ბოგირები საჭირო აღგილებზედ, გააგოს და გააკეთოს მაგარი და კარგი და ორა ცბიერი.

ეგრეთვე ბრძანეთ და მიეცით შეწევნა და გზის გამკეთებელმა დასძებნოს კარგი აღგილები და ყოველს წყალზედ, როგორც შეიძლებოდეს ხიდი გააგოს, ესრეთ ეცადოს და ესრეთ განეკრძალოს და ყოველს სოფლითი-სოფლად გზა გააკეთოს და ესრეთ იმოქმედოს ვითარ აღვწერეთ.

თანა აძს გზათ გამგესა, რათა ეძებდეს უმახლობელესსა გზასა და უსწორესსა იმას ზედა გააკეთებდეს გზასა.

ამისაცა თანამდებ არს გამგე გზისა რათა ყოველს მეოთხე-მეოთხე თვეზედ დაივლიდეს ყოველს გზას, და საღაცა ნაკლულევანებას ნახავდეს ისევ განაახლდებდეს და გააკეთებდეს, და რომლისა სოფლის იყოს მას გააკეთებინებდეს და ამაზედ დიდი განკრძალული იყოს გზის მკეთებელი, რომ გზა ანუ ხიდი და ან ბოგირი არსად კაცის შესაწუხებელად იქმნეს.

ხელმწიფეო ჩემო, ერწმუნენით ამა ჩემსა მოხსენებასა, რომელ დიდი საქებელი იქმნება და სასარგებლო თქვენთვის და სამფლობელოისა თქვენისათვის და ესეთ დაამტკიცეთ და ესეთ ბრძანეთ.

მწადდა რათა მხედრობათა თქვენთათვის და მოხელეთა მხედრობისა თვისცა დამედვა აქა რამოდენიმე წესდებულებანი, გარნა უმჯობეს აღმიჩნდა ვინადგან უსაჭიროეს არს. სხვათ ამისთვის განვიზრახე განთვისებით გაკეთება წერილისა სამხედროთა წესდებულებათათვის, რომელსაცა შემდგომ ვიმზარკებ და წარმოუდგენ უგანათლებულესობასა თქვენსა.

### სასულიეროთა წესდებულებათათვის

თუმცა ესე არა ჩემნი არიან და არცა-ლა დიდათ საჭირო თქმა ამისი ჩემგან, ვინაიდან ვხედავ მე სამფლობელოსა თქვენ-

სა ყოვლად სამღვდელოთა და სხვათა სამღვდელოთა გონიერებით მდიდარ ქმნილსა, და რომელთამე სიბრძნის მოყვარებითა გავითარებულსა, რომელიცა მათ არა დაუშთებისთ ესე ვითარი საღმრთო საქმე და წარმართება; გარნა მაშინცა მკირესა რაიმესა დავსდებ აზრსა ჩემსა.

დასდვან ესე წესი ყოვლად სამღვდელოთა, რომელ ყოველს წელიწადს ორჯერ შეკრბებოდენ მწყემსთ-მთავარნი სა-მფლობელოისა თქვენისანი გამოსაძიებლად სჯულთა სამღვთო-თა და დანიშნონ აღგილი ერთი სადაცა აღმოიჩიონ და იქ შეკრბებოდენ.

ესე კრება დაიდვის ამა რიცხვსა: ერთი შეკრბენ პირველს მაისს, ხოლო მეორე პირველს ოკტონბერს მათით კრუბულით ვისაცა ძალედვას თხრობისა რაიმესა, და გამოეძიებდენ თუ რად რაი უწესოება არს, სად რა ლვთის საწყენი საქმე არის და დახსნიდენ ესე ვითარსა უწესოსა საქმესა შეწევნითა თქვენითა.

გამოეძიებდეს სხვათა და სხვათა მრავალთა და უმჯობესსა და უმჯობესსა, დასდებდენ სჯულთა სამღრთოთა და კეთილ-წე-სიერებასა სამღრთოთა და ესე ჭეშმარიტად ვალი არს მათი.

სამფლობელოსა თქვენსა ვიცი მრავალნი აღგილნი, რომ ეკკლესია არა აქვთ და არცა არს მათშიდ მღვდელ-მოქმედება ლიტურლიისა, ამისთვის ესრეთ ინგბონ მწყემსთ-მთავართა:

ყოველთა მათთა სამწყესოსა შინაბრძანონ და ორმოც და ათ კომლზედ თითო ეკკლესია აღაშენებინონ, სადაც ძალ ედვას ქვი-სა და სადა ხისა და ორმოც და ათ კომლს თითო მღვდელი მიუჩინოს, უმეტეს ამისა ნუ იქნების და ნურცა უმცირეს.

ბრძანონ კვალად მწყემსთ-მთავართა რომელ ყოველი ეკ-კლესია ფიცრით, ქვით და აკურით და ესე ვითარითა გარდი-ხუროს, თორემ ფიცხელის ბრძანებით ალეკრძალოს მღვდელ-თა, ჩალის შეხურვილის ეკლესიაში საღმრთო ლიტურლია ნუ აღესრულების.

ინგბოს მწყემსთ-მთავართა, უკეთუ სამწყესო არა ქონდეს, ისე მღვდელს ნუ აკურთხებენ და ან თუ აღგილი არა ქონდეს განსასვენებელი, ისე ბერს ნუ აკურთხევენ.

ესენი მტკიცედ და შეუმრბდვეველად დაიცვან და ბრძანონ.

ესე მცირე განსაღვიძებელი ჩემგან, ხოლო უკრცელესნი  
მათ უმჯობეს იციან.

აწ დასასრულ ამათ ყოველთასა, მოხსენებანი რაოდენ რიც-  
ხვი მუხლებად დადგენილნი საკუთართა ჩემთა რჩევათაგანი.

ხელმწიფეო ჩემო, თუმცალა ჩებსა მოხსენებულსა ითმენთ  
და ინებებთ რათა ოთხნი მრჩეველნი დაადგინოთ ვითარ მო-  
გახსენეთ ესე ვითარი, მაშინ მათ არა დაურჩების განურჩეველნი  
და უპოვნელნი და მოუხსენებელნი სასარგებლო თქვენთვის და  
მამულისათვის, გარნა მეცა არა მცირესა მოხსენებასა დავსდებ:

1) მეცადინეობა თქვენის უგანათლებულესობისა იყოს  
რომ თქვენს სამფლობელოშიდ მართ-მადიდებელი სარწმუნოე-  
ბა მტკიცედ ეპურან და ურჯულოება აღმოხოცოთ, მრჩობლა-  
დვე თქვენდა წარსამართებელად;

2) დიდათ გაუფრთხილდით უსამართლობას თქვენცა და  
თქვენთა ყოველთა ხელქვეშეთთა, თორემ ღმერთს უსამარ-  
თლობასავით არა შეაწუხებს; ერთი მცირე უსამართლობა  
ოჯახს აღმოფხრის და ლვთის საძულველი უსამართლობისთანა  
არა არის-რა;

3) ყოველი სიცრუე თქვენგან შორს იყავნ, რომელიც  
ყოველსა თქვენთა კეთილთა გარემოებათა წარსწყმედს.

4) დიდი კაცი ხარ, თვით გაჩვენებსთ სამფლობელო თქვე-  
ნი და უგანათლებულესი მკერდი თქვენი, განშვენებული ორ-  
დენებითა და ვგონებ თვით იგრძნობთ, რომ სიმჩალტე არ  
დაგშვენდებათ, და ეცადეთ ყოველს ქცევაშიდ მძიმე იყოთ და  
შესაშვენ ხარისხისა თქვენისა;

5) სულ-გრძელ იყავ და მოთმინე და არა მსწრაფლი მრის-  
ხანე, ვინადგან ვალი არს დიდთა კაცთა სულ-გრძელება;

6) მიურულებელნი მეცადინეობანი ისმიერ თქვენის სამ-  
ფლობელოს ხალხის გამდიდრებისათვის, ირწმუნეთ, ხელმწიფევ  
ჩემო, სანამ შენი ხალხი არ გამდიდრდება, შეუძლებელი არის  
ისე შენ გამდიდრდე, და ან წესიერი მდგომარეობა გექმნესთ;

7) იმეცადინეთ ყოველის ღონისძიებით, რომ სამფლობელოსა  
თქვენსა იქმნეს ვაჭრობა და აღებ-მიცემა ხმელით თუ ზღვით,

რათა ბედნიერ და მდიდარ იქმნეს ხალხი სამფლობელოისა შენისანი, და ესე ვითარითა საქმითა თქვენცა ბედნიერ იქმნეს;

8) შეუდექ აღრჩეულსა შენსა და ნუ მოუძლურდები და აღაშენე ქალაქი სადაცა გნებავდეს და უმჯობეს აღგიჩნდეს, რადგანაც უქალაქოდ ცხოვრება ტანჯვა არის, და ყოველნი მფლობელნი ქალაქით სცხოვრებენ და მით არიან ბედნიერ;

9) იპოების სამფლობელოსა შენსა მაღანნი და მოსძებნე და მიეც იგი აღთქმისაებრ მამისა შენისა მისის იმპერატორებითის დიდებულებას ყოვლად მოწყალესა ხელმწიფესა ჩვენსა, რომელიცა იქმნების მისდამი დიდი ძლვენი და სასარგებლო თქვენი და გასამდიდრებელი სამფლობელოისა თქვენისა და ნუ დააგდებთ ამას;

10) მე ვხედავ და ვიცნი გამოსავალნი ადგილნი რომელ შეგიძლიანთ რომ გააკეთოთ ხოლმანდი და მას შინა მსახურნი მატროსებნი, და ამოქმედე იგი დიდაკ და კვალათ დიდათ სხვად და სხვად სასარგებლოდ თქვენდა და მამულისა თქვენისაჲვის;

11) უმჯობეს ამათდა და უპირველეს ამათსა, სახსოვრად შენისა ვინაობისა და კეთილობისათვის, და ეგრეთვე საზოგადოდ მზრუნველობისათვის შეილთა მამულთა შენთასა მოიყვანეთ ერთი სხოლასტიკოსი (ესე იგი მასწავლებელი), რომელმან იცოდეს ქართული და რუსული სამეცნიერო წერილი და დაადგინეთ სადაცა ჯერ გიჩნდეს სამფლობელოსა თქვენსა თვისისა სახლითა და სახმარებელითა, რათა განანათლოს ძენი შენნი და შვილნი მამულთა შენთანი და იქმნეს ყოვლითურთ ბედნიერება სამფლობელოსა შინა შენსა და შენ დაუვიწყებლად გადიდებდენ და სახელი შენი დაიწეროს აღუხოცელსა ძეგლსა ზედა, და იქმნე შენ მამა ძველისა კოლხიდახსა, ვითარცა რუსეთისა პირველი პეტრე ალექსის ძე, და გეწოდოს ლეონ განმანათლებელი და განმაახლებელი კოლხიდახსა (ესე იგი მენლრელისა);

12) დასდევ ესე კანონი სრულიად სამფლობელოსა თქვენსა რომელ საზღვარს გარეთ ნურავის გაყიდის კაცსა; რომელიც დიდად დამაბრკოლებელ ექმნა მამულსა და სამფლობელოსა თქვენსა. თუმცა-ლა ესე ორჯელ ბრძანეთ, ერთი 1812 და ერთი 1816 წელსა და აღთქმა დასდევით არავინ გაყიდოს

კაცის სული საზღვართ გარეთ, გარნა არა აღსრულდა აღთქმა იგი და დარღვეულ იქმნა და ყიდიან ისევ კაცსა საზღვარს. გარეთ, ხელმწიფევ ჩემო, აღთქმასა და ბრძანებასა შინა იყავ მტკიცე და შეურყეველ; დიდი ბრძენი ისო ზირაქისძე გვი-ბრძანებს თვისთა სიბრძნეთა შინა: „უმჯობეს არს არა აღთქმა, ვიდრე აღთქმა და არა აღსრულება“. და ეგრეთვე ძველისა ტომისა ჭილოსოფოსი აქსენტირონ სხვათა მოძღვრებათა შორის დაგვიწერს თვით ზნედ წავლათა შინა ორთა ამათ კანონთა: 1) აღთქმა თვინიერ აღსრულებისა არს შვენიერი ხე თვინიერ ნაყოფისა; 2) იყავ ძეირ აღთქმასა შინა, ხოლო აღსრულებასა აღთქმულთასა ფრიად უხვი. და ესრეთ ამა აზრთათვის დავა-ცხრობ წერასა რომელიცა კმაარს ვრცელ გონებათათვის.

ჩემო ხელმწიფევ დადიანო, თუმცა-ლა ვიცი და ვგრძნობცა რომელ ეს დაწყობილნი წესდებულება და თქვენდა მორთმეულნი არა საკმავლ არიან უგანათლებულესობისა თქვენი-სათვის და სამფლობელოთა თქვენთათვის, გარნა მოიხსენე სოლომონ დავითის ძისა მეფისა რასა იტყვის თვისთა სიბრძნეთა შინა: „ეც ბრძენსა და უბრძნეს იქმნასო“; ეგრეთვე ვრცელ გონიერება თქვენი ამოქმედე და ამათგანი მეტნი მოსპენ და ნაკლულევანი აღავსე.

თუმცალა ძალ მედვა უმჯობესთა და უნათლესთა წესდებულებათა დადება თით-ითქმის და მეძლო რათა დაუკლებელად ბრწყინვალენი წესნი ევროპიეთნი დაიმედვნეს, რომელიცა დღესა ამას აწ-მყოს ბრწყინავს ვრცელსა სფერასა ქვეყნისასა, გარნა ჯერეთ ესე კმა არს უჩვეველთა და უხილველთათვის, და ოდეს ესე მცირე განიკარგვიან, მაშინ თვით ბუნება მისი უნათლეს გაჩვენებსთ და განგაღვიძებსთ და მაგზიდავსთ უმჯობესისადმი.

რაც ვყო, ხელმწიფევ ჩემო, მრავალნი საქმენი მაიძულებელ ჩემდა არიან, გარნა უმეტეს სამნი საქმენი: 1, ერთგულებითი სული, 2, შვილება მამულისა, 3, ბეღნიერება ჩემი და უბედობა შენდამი დამოკიდებულ არს, ვითარცა ყოველთა ცხოველთა ცხოველობა მისს ერთისა და უზადოსა ურომელოისადმი დამოკიდებულ არს; და ესე სამნი საქმენი იძულების საბლითა

მიმათრევენ თქმად ამისა; ხელმწიფევ ჩემო! განიღვიძე, თორემ არ ვარგა ასე, წესდებულება მიეც თავსაცა შენსა და სამფლობელოსაცა თქვენსა, თორემ მერწმუნეთ მრჩობლადვე შეინანებთ.

მე ოდეს ვნახავ სახლთა თქვენთა უწესობასა და უკალრსა მოქმედებასა, მაშინ სული ჩემი უკანასკნელითა მწუხარებითა იწერტებიან და ვიტყვი ნეტამც საგრძნობელნი ჩემნი არა გრძნობდენ ესე ვითარსა საქმესა თქო; რასათვის ხელმწიფევ! არა არს მიზეზი რომ არ ინებოთ ყოველნი კეთილნი და კეთილ დაწყობილებანი, არა გყავს წინა-აღმდეგი, არა გყავს ურჩი ვინმე, არა არს მიზეზი რამე დამაბრკოლებელ კეთილისა და რაი უმჯობეს არს, რაისათვის არა იქთ?

განიღვიძე ხელმწიფევ და განიფრთხე, აღდეგ, აღიდე სახელი შენი, მოიძიე პატიოსნება, შეიმოსე სიბრძნის მოყვარება, გამოდი სიყრმისა ნებისაგან და ჰქმენ იგი რაიცა სრულ გყოფს შენ და მდგმობასა შენსა.

ესე შვილი წელი და სამი თვე არს რომელთურცა მეცნიერი ესრეთ გაწუხებთ მრავლის ესე ვითარის მოხსენებით, ხელმწიფევ ჩემო, და უმდაბლესად მოგახსენებ ყოველთვის ოდეს უამს ვიხილავ, რომელ წესდებულება მიეც თავსა შენსა და სამფლობელოსა შენსა თქო, რომელსა ზედა მემოწმებიან ყოველნი მახლობელ თქვენსა თან-გამზრახნი, გარნა ეს შვილის წლისა და სამი თვისა ბრავალნი და ზედა-ზედა მოხსენებანი ჩემნი ყოვლითურთ უნაყოფოთ იხედებიან. აწ უკანასკნელად ამასა ამა ჩემსა მოხსენებასა მოგართმევთ უმდაბლესად, რომელიცა ვრცელი გონება და კეთილნი ღიღ-სულობანი შთამონასირთა თქვენთანი იმედს მცემს, რათა ინებებთ და განაშვენებთ თავსა შენსა და სამფლობელოსაცა შენსა, და უკეთუ არა დასძლო უბედობამან ჩემმან კეთილსა, მაშინ მე არა ძალ მიძს ყოფნა მშობელსა მამულსა ჩემსა სამთავროსა შინა თქვენსა და ცრემლით განგიბან ხელთა და ფერხთა აღზრდილსა მოხუცებულისა დედისა ჩემისას და წარვალ შორესა, საღა არა მესმოდეს კვალად სამწუხარონი ჩემთვის ხმანი, და შენ შვილობით ყოვლად სასურველო ხელმწიფეო ჩემო, და ვითარ განაგებს ღმერთი საკირველებათა მოქმედი ღიღება და კურთხევა შისღამი უკუნისამდე.

5hp

34

e 137

3560 25 353.